


# Güncüce

MODÜL-4



Hazırlayanlar

Prof. Dr. Rusudan SAĞINADZE / Recep Tayyip Erdoğan Üniversitesi

Doç. Dr. Maia KIKVADZE / Recep Tayyip Erdoğan Üniversitesi

Ali Rıza ALTUNEL

Proje Kordinasyon

Gürcistan Dostluk Derneği Başkanlığı Adına

Kapak Tasarım ve İllüstrasyon

Arş. Gör. Gökçe ARİFOĞLU

Grafik Tasarım

Öznur YILDIRIM

Türkçe Dil Uzmanı

Erdoğan MURA

Rehberlik Geliştirme Uzmanı

Uğur YILDIRIM

Ölçme Değerlendirme Uzmanı

Osman EPÇİM

Basım Yılı:

ISBN:





## İSTİKLÂL MARŞI

Korkma, sönmez bu şafaklarda yüzen al sancak;  
Sönmeden yurdumun üstünde tüten en son ocak.  
O benim milletimin yıldızıdır, parlayacak;  
O benimdir, o benim milletimindir ancak.

Çatma, kurban olayım, çehreni ey nazlı hilâl!  
Kahraman ırkıma bir gül! Ne bu şiddet, bu celâl?  
Sana olmaz dökülen kanlarımız sonra helâl.  
Hakkıdır Hakk'a tapan milletimin istiklâl.

Ben ezelden beridir hür yaşadım, hür yaşarım.  
Hangi çılgın bana zincir vuracakmış? Şaşarım!  
Kükremiş sel gibiyim, bendimi çiğner, aşarım.  
Yırtarım dağları, enginlere sığmam, taşarım.

Garbın âfâkını sarmışsa çelik zırhlı duvar,  
Benim iman dolu göğsüm gibi serhaddim var.  
Ulusun, korkma! Nasıl böyle bir imanı boğar,  
Medeniyet dediğin tek dişi kalmış canavar?

Arkadaş, yurduma alçakları uğratma sakın;  
Siper et gövdeni, dursun bu hayâsızca akın.  
Doğacaktır sana va'dettiği günler Hakk'ın;  
Kim bilir, belki yarın, belki yarından da yakın.

Bastığın yerleri toprak diyerek geçme, tanı:  
Düşün altındaki binlerce kefensiz yatanı.  
Sen şehit oğlusun, incitme, yazıktır, atanı:  
Verme, dünyaları alsan da bu cennet vatanı.

Kim bu cennet vatanın uğruna olmaz ki feda?  
Şüheda fişkırarak toprağı sıksan, şüheda!  
Cânı, cânânı, bütün varımı alsın da Huda,  
Etmesin tek vatanımdan beni dünyada cüda.

Ruhumun senden İlahî, şudur ancak emeli:  
Değmesin mabedimin göğsüne nâmahrem eli.  
Bu ezanlar -ki şehadetleri dinin temeli-  
Ebedî yurdumun üstünde benim inlemeli.

O zaman vecd ile bin secde eder -varsa- taşım,  
Her cerîhamdan İlahî, boşanıp kanlı yaşım,  
Fışkırır ruh-ı mücerret gibi yerden na'sım;  
O zaman yükselerek arşa değer belki başım.

Dalgalan sen de şafaklar gibi ey şanlı hilâl!  
Olsun artık dökülen kanlarımın hepsi helâl.  
Ebediyyen sana yok, ırkıma yok izmihlâl;  
Hakkıdır hür yaşamış bayrağımın hürriyyet;  
Hakkıdır Hakk'a tapan milletimin istiklâl!

**Mehmet Âkif Ersoy**


## GENÇLİĞE HİTABE

Ey Türk gençliği! Birinci vazifen, Türk istiklâlini, Türk Cumhuriyetini, ilelebet muhafaza ve müdafaa etmektir.

Mevcudiyetinin ve istikbalinin yegâne temeli budur. Bu temel, senin en kıymetli hazinendir. İstikbalde dahi, seni bu hazineden mahrum etmek isteyecek dâhilî ve hâricî bedhahların olacaktır. Bir gün, istiklâl ve cumhuriyeti müdafaa mecburiyetine düşersen, vazifeye atılmak için, içinde bulunacağın vaziyetin imkân ve şeraitini düşünmeyeceksin! Bu imkân ve şerait, çok namüsaît bir mahiyette tezahür edebilir. İstiklâl ve cumhuriyetine kastedecek düşmanlar, bütün dünyada emsali görülmemiş bir galibiyetin mümessili olabilirler. Cebren ve hile ile aziz vatanın bütün kaleleri zapt edilmiş, bütün tersanelerine girilmiş, bütün orduları dağıtılmış ve memleketin her köşesi bilfiil işgal edilmiş olabilir. Bütün bu şeraitten daha elîm ve daha vahim olmak üzere, memleketin dâhilinde iktidara sahip olanlar gaflet ve dalâlet ve hattâ hıyanet içinde bulunabilirler. Hattâ bu iktidar sahipleri şahsî menfaatlerini, müstevlîlerin siyasî emelleriyle tevhit edebilirler. Millet, fakr u zaruret içinde harap ve bîtap düşmüş olabilir.

Ey Türk istikbalinin evlâdı! İşte, bu ahval ve şerait içinde dahi vazifen, Türk istiklâl ve cumhuriyetini kurtarmaktır. Muhtaç olduğun kudret, damarlarındaki asil kanda mevcuttur.

Mustafa Kemal Atatürk



MUSTAFA KEMAL ATATÜRK



# შინაარსი

თავი 1. როგორ გავატაროთ თავისუფალი დრო?.....	7
თავი 2. კულტურა. ხელოვნება .....	25
თავი 3. სპორტი. ჯანმრთელობა .....	41
თავი 4. დღესასწაულები. მილოცვა .....	57
თავი 5. მსოფლიოს გარშემო .....	75
თავი 6. როგორ მოვაგვაროთ პრობლემები? .....	93
თავი 7. საკომუნიკაციო საშუალებები .....	107
თავი 8. ჩვევები .....	121
დანართი 1. დავალებები .....	137
დანართი 2. ზმნები .....	173
დანართი 3. ლექსიკონი .....	183
დანართი 4. მოსმენა და გაგება (პასუხები) .....	188
ლიტერატურა .....	196






## თავი 1.

### როგორ გავატაროთ თავისუფალი დრო?

- ✓ არდადეგებზე
- ✓ უქმე დღეები
- ✓ ექსკურსიაზე
- ✓ სასტუმროში
- ✓ გართობა
- ✓ პირადი ნივთები
- ✓ პირობით-შედგობითი კილო (ხოლმეობითი) (წავიდოდი, დავისვენებდი, გავერთობოდი, ჩავალაგებდი...)
- ✓ ზმნის პირთა კომბინაციები (მიცემა-მოცემა...)
- ✓ ზმნები (დასვენება, გართობა, ცეკვა, სიმღერა, ჩალაგება, დალოდება, ცურვა, გუნდაობა, დარეკვა)
- ✓ ფრაზები (დასასვენებლად წასვლა, სად დავისვენოთ? როგორ გავერთოთ? თავისუფალი დროის გატარება, თხილამურებით სრიალი...)





1. მოსმინეთ სიტყვები!



1. დასვენება მთაში

2. აგარაკზე

3. ზაფხულის არდადეგებზე

4. სასტუმროში

5. ექსკურსიაზე

6. კომპასი

7. გართობა

8. სად ღაღისვენოთ?


9. პირადი ნივთები

10. ცეკვა

11. ზამთრის არდადეგებზე

12. პლაჟზე

2. მოსმენილი სიტყვები მიუწერეთ შესაბამის სურათებს!



3. გაიმეორეთ მოსმენილი სიტყვები!







# კითხვა-გაგება

## 1.1. წაიკითხეთ დიალოგი!

### ➤ ფატმას თავისუფალი დრო

**ნინო** : ფატმა, სკოლაში ბევრი სამეცადინო გაქვს?  
**ფატმა**: დიახ, საკმაოდ ბევრი, ენებსაც ვსწავლობ.  
**ნინო** : თავისუფალი დრო გაქვს?  
**ფატმა**: თავისუფალი დრო მხოლოდ უქმე დღეებში მაქვს.  
**ნინო** : რას აკეთებ შაბათ-კვირას?  
**ფატმა**: ოჯახთან ერთად აგარაკზე ვართ ან სტუმრად მივდივართ.  
**ნინო** : თანატოლებთან ერთად არ ატარებ თავისუფალ დროს?  
**ფატმა**: რა თქმა უნდა, ხშირად ვართ ერთად პიკნიკზე.  
**ნინო** : სეირნობა არ გიყვარს?  
**ფატმა**: სეირნობა და გართობა ძალიან მიყვარს.  
**ნინო** : მეც მიყვარს შენსავით თავისუფალი დროის კარგად გატარება.

## 1.2. დიალოგის მიხედვით აღნიშნეთ სწორი პასუხები (✓)!

- ა. ფატმას ბევრი სამეცადინო არა აქვს.
- ბ. ფატმას ბევრი სამეცადინო აქვს.
- ა. ფატმას თავისუფალი დრო უქმე დღეებში აქვს.
- ბ. ფატმას თავისუფალი დრო უქმე დღეებში არა აქვს.
- ა. ფატმა შაბათ-კვირას ოჯახთან ერთად ატარებს.
- ბ. ფატმა შაბათ-კვირას ოჯახთან ერთად არ ატარებს.
- ა. ფატმა თანატოლებთან ერთად პიკნიკზე არ დადის.
- ბ. ფატმა თანატოლებთან ერთად პიკნიკზე დადის.



## 2.1. წაიკითხოთ ტექსტი!



### ➤ არდადეგებზე

არდადეგები ყველა მოსწავლეს უყვარს. ისინი ფიქრობენ, სად გაატარონ ზამთრისა და ზაფხულის არდადეგები.

ბილალი და გიორგი თანაკლასელები არიან. ბილალი ზამთარში ერზრუმში ისვენებს. მას ძალიან უყვარს თოვლი, თხილამურებით სრიალი, თანატოლებთან ერთად გუნდაობა.

გიორგი ზამთრის არდადეგებს ხშირად ბაკურიანში ატარებს. მას უყვარს სუფთა ჰაერზე ყოფნა, სეირნობა. თხილამურებით სრიალიც მოსწონს, მაგრამ ჯერ კარგად არ იცის, ახლა სწავლობს.

ზაფხულის არდადეგებზე ბილალისა და გიორგის ოჯახები ერთად მიდიან დასასვენებლად ანტალიაში, ბავშვები კარგად ერთობიან ზღვაზე: ცურავენ, პლაჟზე ბურთს თამაშობენ, საინტერესო წიგნებს კითხულობენ, კაფეში გემრიელ ნაყინსა და ხილის წვენებს მიირთმევენ, საუბრობენ, მღერიან და ცეკვავენ.





2.2. ტექსტის მიხედვით დასვით შეკითხვები!

ა: .....

ბ: არდადეგები ყველა მოსწავლეს უყვარს.

ა: .....

ბ: დიას, თანაკლასელები არიან.

ა: .....

ბ: ბილალი ზამთარში ერზრუმში ისვენებს.

ა: .....

ბ: ბილალს უყვარს თხილამურებით სრიალი და გუნდაობა.

ა: .....

ბ: გიორგი ერზრუმში არ ისვენებს, ბაკურიანში ისვენებს.

ა: .....

ბ: ბილალისა და გიორგის ოჯახები ზაფხულში ანტალიაში მიდიან.

ა: .....

ბ: ისინი ძალიან კარგად ერთობიან.

❖ დაიმახსოვრეთ! ➡

თავისუფალი დრო გაქვს?  
როდის გაქვთ თავისუფალი დრო?  
სად გინდათ გაატაროთ თავისუფალი დრო?  
როგორ ატარებთ თავისუფალ დროს?  
რას აკეთებთ თავისუფალ დროს?  
ვისთან ერთად ატარებთ თავისუფალ დროს?



# მოსმენა და გაგება



1. მოისმინეთ ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს!



ა: სად წავიდა ზაფერის ოჯახი ზაფხულის არდადეგებზე?

ბ: .....

ა: სად მდებარეობს მესტია?

ბ: .....

ა: რა მოეწონათ ზაფერის ოჯახის წევრებს მესტიაში?

ბ: .....

ა: რამდენი დღე გაატარა ზაფერის ოჯახმა მესტიაში?

ბ: .....

ა: სად ცხოვრობდნენ ისინი მესტიაში?

ბ: .....



2. მოისმინეთ ტექსტი და დასვით შეკითხვები!



ა: .....

ბ: ანას კლასი არდადეგებზე სტამბოლში წავიდა.

ა: .....

ბ: ბავშვები ექსკურსიაზე ერთი კვირით წავიდნენ.

ა: .....

ბ: სულთან ახმედის მოედანი და მეჩეთი, აია სოფიას მუზეუმი, თოფჯაფის სასახლე...

ა: .....

ბ: ბავშვებმა გემით გაისეირნეს ბოსფორის სრუტეში.

ა: .....

ბ: ანას კლასელებმა სტამბოლში დრო მხიარულად გაატარეს.





3. მოისმინეთ დიალოგი და აღნიშნეთ სწორი პასუხები (✓)! 

	სწორია
სასტუმროში თავისუფალი ადგილი არ არის.	
კლიენტს ორადგილიანი ოთახი უნდა.	
კლიენტს ნომერი ხუთი დღით უნდა.	
სასტუმროში ნომერი 100 ლირა ღირს.	
კლიენტს ოთახი ზღვისკენ უნდა.	
ოთახი ზღვისკენ არის.	
სასტუმროში საუზმე 08:00 საათზე იწყება.	





# საუბარი

## 1. წაიკითხეთ დიალოგი!



**დენიზი:** ირაკლი, სალამოს თავისუფალი ხარ?

**ირაკლი:** ხუთი საათის შემდეგ თავისუფალი ვარ.

**დენიზი:** ექვს საათზე ჩვენს სკოლაში კონცერტია, წავიდეთ?

**ირაკლი:** წავიდეთ, გავერთოთ! ჩვენი კლასელებიც მოდიან?

**დენიზი:** ყველა არა, მაგრამ ბევრი ვიქნებით.

**ირაკლი:** დენიზ, კარგად ცეკვავ?

**დენიზი:** ვცეკვავ, მაგრამ უფრო კარგად ვმღერი.

**ირაკლი:** საინტერესოა! კონცერტზე კარგად გავერთობით.

**დენიზი:** დიახ, მეგობრებთან ერთად ვიცეკვებთ და ვიმღერებთ.

**ირაკლი:** ექვსის ნახევარზე დამირეკე, სხვებსაც დაფურეკოთ!

**დენიზი:** კარგი, დაგირეკავ. შეხვედრამდე!



2. მოცემული სიტყვებით ააგეთ მსგავსი დიალოგები!

თეატრი  
ბილეთი  
სპექტაკლი  
წასვლა

პიკნიკი  
ტყე  
კლასელები  
გართობა

ზღვა  
ზაფხული  
მეგობრები  
ცურვა

★ პირადი ნივთები

ჩემოდანი  
ზურგჩანთა  
საფარცხელი  
კბილის ჯაგრისი  
ღრუბელი  
სუნამო  
ხალათი  
პირსახოცი

3. დააკვირდით სურათებს და ისაუბრეთ!







# წერა


## 1. ჩასვით წინადადებებში სათანადო ზმნები!

**ნიმუში:** 1) თავისუფალ დროს წიგნს წა<sup>წ</sup>ვიკითხავ.

- 2) ნიკა და ლია თურქეთში .....
- 3) ბავშვებო, ზარი დაირეკა, .....
- 4) არდადეგებზე კარგად .....
- 5) ესმას ოჯახი დასასვენებლად ბათუმში .....
- 6) მოსწავლეები ახალი წიგნის შესახებ .....
- 7) მათ თურქული და ქართული სიმღერები .....
- 8) ზღვაზე უცხოელი ბავშვები .....
- 9) მარიამის ძმები ანსამბლში .....
- 10) ერძალ, ფეხბურთს კარგად .....

წა<sup>წ</sup>ვიკითხავ  
 ცე<sup>წ</sup>კვავენ  
 იმღერეს  
 თამაშობ  
 ვერთობით  
 იმოგზაურებენ  
 წა<sup>წ</sup>ვიდა  
 გავიცანი  
 დაისვენეთ!  
 საუბრობენ

## 2. მიუწერეთ სურათებს შესაბამისი სიტუაციის ამსახველი სიტყვები!





### 3. დააკავშირეთ სიტყვები!

თხილამურები	კონცერტი
პლაჟი	სოფელი
ბილეთი	მთა
კომპასი	ტყე
ცეკვა	ზღვა
კოსონი	თეატრი
აგარაკი	პიკნიკი

### 4. დაალაგეთ სიტყვები რიგის მიხედვით და გამართეთ წინადადებები!

ნინო / ატარებენ / და / აგარაკზე / ნანა / არდადეგებს  
 უქმე / კვირის / დღეებია / ბოლოს  
 ბურთს / შესვენებაზე / ბავშვები / ეზოში / თამაშობენ  
 დრო / სად / თავისუფალი / გაატაროთ / გინდათ?  
 ბევრი / ისვენებს / ტურისტი / პლაჟზე / ზაფხულში  
 დედას / ავტობუსის / ელოდება / სონერი / გაჩერებასთან

ანდაზა:


„მდინარესაც დასვენება უნდაო!“





# გრამატიკა

1. პირობითობა-შედევრობითობის გამოხატვა (ხოლმეობითის მწკრივი) – რას ვიზამდი?



ხოლმეობითი	
	დასვენება
მე/ჩვენ	და-ვ-ისვენებ- <b>დ</b> -ი/-თ
შენ/თქვენ	და-ისვენებ- <b>დ</b> -ი/-თ
ის/ისინი	და-ისვენებ- <b>დ</b> -ა/-ნენ
გართობა	
მე/ჩვენ	გა-ვ-ერთობ- <b>ოდ</b> -ი/-თ
შენ/თქვენ	გა-ერთობ- <b>ოდ</b> -ი/-თ
ის/ისინი	გა-ერთობ- <b>ოდ</b> -ა/-ნენ

ზატყხულში მთაში დავისვენებდი. ზღვაზე ერთად დროს კარგად გავატარებდით. საღამოს დისკოთეკაზე გაერთობოდნენ. თეატრში სიამოვნებით წავიღოდი. მძლოლი ბავშვებს დაელოდებოდა.

2. ზმნის პირთა კომბინაციები (მიცემა-მოცემა):

ახლანდელი დრო		
მე	შენ	ის
შენ / თქვენ გაძლევ/-თ მას / მათ ვაძლევ	მე მაძლევ – ჩვენ გვაძლევ მას / მათ აძლევ	მე მაძლევს – ჩვენ გვაძლევს შენ / თქვენ გაძლევს/-თ მას / მათ აძლევს
ჩვენ	თქვენ	ისინი
შენ / თქვენ გაძლევთ მას / მათ ვაძლევთ	მე მაძლევთ – ჩვენ გვაძლევთ მას / მათ აძლევთ	მე მაძლევვენ – ჩვენ გვაძლევვენ შენ / თქვენ გაძლევვენ მას / მათ აძლევვენ



მომავალი დრო		
მე	შენ	ის
შენ / თქვენ მოგვცემ/-თ მას / მათ მივცემ	მე მომცემ – ჩვენ მოგვცემ მას / მათ მისცემ	მე მომცემს – ჩვენ მოგვცემს შენ / თქვენ მოგვცემს/-თ მას / მათ მისცემს
ჩვენ	თქვენ	ისინი
შენ / თქვენ მოგვცემთ მას / მათ მივცემთ	მე მომცემთ – ჩვენ მოგვცემთ მას / მათ მისცემთ	მე მომცემენ – ჩვენ მოგვცემენ შენ / თქვენ მოგვცემენ მას / მათ მისცემენ

წარსული დრო		
მე	შენ	მან
შენ / თქვენ მოგვეცი/-თ მას / მათ მივეცი	მე მომეცი – ჩვენ მოგვეცი მას / მათ მიეცი	მე მომცა – ჩვენ მოგვცა შენ / თქვენ მოგცა/-თ მას / მათ მისცა
ჩვენ	თქვენ	მათ
შენ / თქვენ მოგვეცი მას / მათ მივეცი	მე მომეციით – ჩვენ მოგვეციით მას / მათ მიეციით	მე მომცეს – ჩვენ მოგვცეს შენ / თქვენ მოგცეს მას / მათ მისცეს

ექიმი გრიპის წამლის რეცეპტს **მაძლევს**.  
 თუ გინდა, თეატრის ბილეთს **მოგვცემ** ხვალისთვის.  
 სასტუმროს ადმინისტრატორმა ქალაქის რუკა **მოგვცა**.  
 თუ შეიძლება, ზღვისკენ ორადგილიანი ნომერი **მომეცი**თ!  
 ანა, მე ესმას **დაფურეკავ**, შენ ალის **დაურეკე**!  
 ლია, მშობლები ყოველ საღამოს **გირეკავენ**?  
 გთხოვ, საღამოს **დამირეკე**!  
 გუშინ ფატმას თბილისიდან მეგობრებმა **დაურეკეს**.  
 უნდა წავიდე, სახლში თამარი და ლეილა **მელოდებიან**.  
 აიშე, სკოლის წინ **დაგელოდები**.  
 ავტობუსი მალე მოვა, **დაელოდე**!



3. ზმნის ძირითადი დროის ფორმები:

დასვენება			
	ახლანდ.	მომავ.	წარს.
მე	ვისვენებ	დავისვენებ	დავისვენე
შენ	ისვენებ	დაისვენებ	დაისვენე
ის	ისვენებს	დაისვენებს	დაისვენა <b>მან</b>
ჩვენ	ვისვენებთ	დავისვენებთ	დავისვენეთ
თქვენ	ისვენებთ	დაისვენებთ	დაისვენეთ
ისინი	ისვენებენ	დაისვენებენ	დაისვენეს <b>მათ</b>
გართობა			
მე	ვერთობი	გავერთობი	გავერთე
შენ	ერთობი	გაერთობი	გაერთე
ის	ერთობა	გაერთობა	გაერთო
ჩვენ	ვერთობით	გავერთობით	გავერთეთ
თქვენ	ერთობით	გაერთობით	გაერთეთ
ისინი	ერთობიან	გაერთობიან	გაერთნენ







# კროსვორდი

ჩანერეთ თავისუფალი დროის გატარებასთან დაკავშირებული სიტყვები!

								ს			
				ს		მ				ა	
								კ			
			ჩ		მ		ღ	ა		ი	
	ღ			ქ							
თ	ა	ვ	ი	ს	უ	ფ	ა	ლ	ი		
	ვ			უ					მ		
						ჩ			მ		ა
	ნ			ს					ვ		
											ა
			გ	ა	რ	თ	თ	ბ	ა		
	ა					ა					ა
									ღ		
							შ	ლ			ი
									ღ		
									ბ		
					ნ		ვ		ი		

- პასუხები:** 1. თავისუფალი დრო 2. გართობა 3. ნივთი 4. სიმღერა  
 5. დასვენება 6. პლაჟი 7. ჩანთა 8. არდადეგები 9. ჩემოდანი  
 10. აგარაკი 11. ექსკურსია 12. ცეკვა



თავის ძირითადი სიტყვები და ფრაზები:

არდადეგები  
თანატოლები  
ჩემოდანი  
ზურგჩანთა  
სავარცხელი  
ღრუბელი  
ხალათი  
პირსახოცი  
სუნამო  
აგარაკი  
პლაჟი  
ადმინისტრატორი  
ექსკურსია  
კომპასი

დასვენება  
გართობა  
ცეკვა  
სიმღერა  
ჩალაგება  
დარეკვა  
დალოდება  
ცურვა  
გუნდაობა

სად დავისვენოთ?  
როგორ გავერთოთ?  
თავისუფალი დროის  
გატარება  
დასასვენებლად წასვლა  
თხილამურებით  
სრიალი





## თავი 2. კულტურა ხელოვნება

- ✓ კინო
- ✓ თეატრი
- ✓ მუზეუმი
- ✓ გალერეა
- ✓ ხელოვნების ცენტრები, სკოლები, სტუდიები
- ✓ კულტურული ღონისძიებები
- ✓ თანდებული (-მდე / -მდის)
- ✓ კავშირი (ან-ან, ხან-ხან)
- ✓ ანტონიმური ზმნები (გაღება – დაკეტვა, გახსნა – დახურვა)
- ✓ ზმნები (გაღება, დახურვა, დაკეტვა, გახსნა, ჩატარება, მოწყობა, გამართვა, საუბარი)
- ✓ ფრაზები (ბილეთის ყიდვა / ბილეთის აღება, გამოფენის გახსნა / გამოფენის დახურვა, ფესტივალის ჩატარება, კონცერტის გამართვა / კონცერტის ჩატარება, ანსამბლის შექმნა, გამოფენის მოწყობა, მონაწილეობას იღებს / მონაწილეობს, როლის შესრულება, ტაშის დაკვრა...)





1. მოისმინეთ სიტყვები!



1. კინოთეატრში

2. სპექტაკლზე

3. წიგნების გამოფენაზე

4. გალერეაში

5. საბავშვო კონკურსი

6. ფესტივალზე

7. მუსიკალურ სკოლაში

8. თოლკლორი

9. მუზეუმში

10. შეხვედრა მწერალთან




11. მუსიკალური ინსტრუმენტები

12. საოპერო თეატრში

2. მოსმენილი სიტყვები მიუწერეთ შესაბამის სურათებს!







3. გაიმეორეთ მოსმენილი სიტყვები! 





# კითხვა-გაგება

## 1.1. წაიკითხეთ დიალოგები!



### ➤ ხელოვნების დარგები

**მასწავლებელი:** ნიკა, ხელოვნების რომელი დარგი მოგწონს?

**ნიკა:** მე კინოხელოვნება, ფილმები მომწონს.

**მასწავლებელი:** აიშე, შენ?

**აიშე:** მე მუსიკა და მხატვრობა.

**მასწავლებელი:** ნიკა, კინოთეატრში დადიხარ?

**ნიკა:** კინოთეატრშიც დავდივარ და სახლშიც ვუყურებ ფილმებს.

**მასწავლებელი:** აიშე, როგორ მუსიკას უსმენ?

**აიშე:** მე თანამედროვე მუსიკას უსმენ.

**მასწავლებელი:** კვირას ხალხური შემოქმედების ფესტივალი იხსნება.

**ნიკა:** მიყვარს ფოლკლორი, სიამოვნებით წავალ! აიშე, შენ?

**აიშე:** რა თქმა უნდა, აუცილებლად წავალ!



➤ გამოფენაზე

**ლია:** გამარჯობა, ესმა! დღეს რას აკეთებ?  
**ესმა:** გაგიმარჯოს, ლია! ორი საათიდან თავისუფალი ვარ.  
**ლია:** ჩვენს სკოლაში ახალი წიგნების გამოფენაა, იცი?  
**ესმა:** ვიცი. თუ გინდა, ერთად წავიდეთ!  
**ლია:** შაბათს საბავშვო ნახატების გამოფენა იხურება.  
**ესმა:** რომელ საათზე?  
**ლია:** ხუთ საათზე იხურება.  
**ესმა:** ძალიან კარგი, იქაც წავიდეთ!  
**ლია:** დროებით!

1.2. დიალოგების მიხედვით აღნიშნეთ სწორი და არასწორი პასუხები (✓)!

		სწორია	არასწორია
1.	ნიკას კინოხელოვნება მოსწონს.	✓	
2.	აიშეს მუსიკა და თეატრი მოსწონს.		
3.	ნიკას ფილმები არ მოსწონს.		
4.	აიშე თანამედროვე მუსიკას უსმენს.		
5.	ლია და ესმა წიგნების გამოფენაზე მიდიან.		
6.	ესმა გამოფენაზე არ მიდის.		
7.	გამოფენა ხუთ საათზე იხურება.		
8.	ლია საბავშვო ნახატების გამოფენაზე მიდის.		





## 2.1. წაიკითხეთ ტექსტები!



### ➤ „სუხიშვილები“

ქართული ნაციონალური ბალეტი – ანსამბლი „სუხიშვილები“ 1945 წელს შექმნეს ცნობილმა ქართველმა ქორეოგრაფებმა ილიკო სუხიშვილმა და ნინო რამიშვილმა. ანსამბლს კონცერტები ჰქონდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ქართული ცეკვებით ანსამბლმა მსოფლიოს გააცნო ქართველი ხალხის კულტურა. დღეს ანსამბლის ხელმძღვანელები არიან დიდი ქორეოგრაფების შვილიშვილები – უმცროსი ილიკო და ნინო სუხიშვილები.

### ➤ 1 ივნისი

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა. ამ დღეს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იმართება კონცერტები, საბავშვო ფოლკლორის ფესტივალები, კონკურსები, ენციობა ბავშვთა ნახატების გამოფენები, საქველმოქმედო საღამოები.







## 2.2. ტექსტების მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს!

1) რომელ წელს შექმნეს ანსამბლი „სუხიშვილები“?

.....

2) ვინ იყვნენ ანსამბლის პირველი ხელმძღვანელები?

.....

3) სად ჩატარდა ანსამბლის კონცერტები?

.....

4) ვინ არიან დღეს ანსამბლის ხელმძღვანელები?

.....

5) როდის არის ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე?

.....

6) რა ღონისძიებები იმართება პირველ ივნისს?


.....

### ★ ხელოვნების დარგები

ლიტერატურა  
თეატრი  
კინოხელოვნება  
მხატვრობა  
არქიტექტურა  
მუსიკა  
ოპერა  
ბალეტი  
ქორეოგრაფია  
ფოტოხელოვნება



# მოსმენა და გაგება



1. მოისმინეთ ტექსტი და დასვით შეკითხვები!



- 1) .....  
მერიემი და ნანა თეატრში არიან.
- 2) .....  
თურქი რეჟისორის ახალ სპექტაკლს უყურებენ.
- 3) .....  
სპექტაკლი ერთი ქალაქის ცხოვრებაზეა.
- 4) .....  
არა, სცენაა განათებული.
- 5) .....  
დიახ, დარბაზში ბევრი მაყურებელია.



2. მოისმინეთ დიალოგი და უპასუხეთ შეკითხვებს!



1) სად არიან ლია და აიშე?

.....

2) აიშე ხელოვნების მუზეუმში პირველად არის?

.....

3) რას ათვალისწინებენ ლია და აიშე?

.....

4) რომელ საათზე იკვებება მუზეუმი?

.....

3. მოისმინეთ ტექსტი და აღნიშნეთ სწორი პასუხები (✓)!



ა. ბიბლიოთეკაში წიგნების გამოფენაა.

ბ. წიგნის სახლში წიგნების გამოფენაა.

ა. გამოფენაზე ცნობილი მხატვრების სურათებია.

ბ. გამოფენაზე ცნობილი მწერლების წიგნებია.

ა. მკითხველს შეუძლია ახალი წიგნების შეძენა.

ბ. მკითხველს არ შეუძლია ახალი წიგნების შეძენა.





# საუბარი

## 1. წაიკითხეთ დიალოგები!



### ➤ მუსიკალური ინსტრუმენტები

**შულე:** ანა, მუსიკალურ სკოლაში დადიხარ?

**ანა:** არა, მე ცეკვაზე დავდივარ. შენ?

**შულე:** მე მუსიკალურ სკოლაში დავდივარ.

**ანა:** რომელ ინსტრუმენტზე უკრავ?

**შულე:** მე ფორტეპიანოზეც ვუკრავ და გიტარაზეც.

**ანა:** გიტარა ძალიან მომწონს. მეც ვისწავლი.

### ➤ როგორ მუსიკას უსმენ?

**ალი:** ნიკა, ხშირად უსმენ მუსიკას?

**ნიკა:** დიახ, მუსიკას ყოველთვის ვუსმენ, შენ?

**ალი:** მეც მიყვარს მუსიკის მოსმენა.

**ნიკა:** შენ როგორი მუსიკა მოგწონს, ალი?

**ალი:** მე ხან კლასიკურ მუსიკას ვუსმენ, ხან – ხალხურს. შენ?

**ნიკა:** მე ჯაზი მაინტერესებს.

**ალი:** საღამოს მუსიკალურ ცენტრში კონცერტია.

**ნიკა:** ბილეთები ავიღოთ და წავიდეთ!





2. წაკითხული დიალოგების მიხედვით ისაუბრეთ მუსიკისა და მუსიკალური ინსტრუმენტების შესახებ!

3. მოცემული ფრაზებისა და ზმნების გამოყენებით ისაუბრეთ კულტურისა და ხელოვნების შესახებ!

კონცერტი გამართა, ფესტივალი ჩატარდება, გამოფენა გაიხსნა, მონაწილეობას იღებს, ტაშს უკრავენ, როლს შეასრულებს, მღერის, როიალზე დაუკრა, ცეკვავდნენ, ათვალთვალდნენ, მოეწონათ.

4. აღწერეთ სურათები!



ფოტოგამოფენა



საბავშვო  
ფესტივალი



თოჯინების თეატრი





# წერა

## 1. წაკითხეთ დიალოგი!



**ანა:** ბავშვებო, მე ხელოვნების დარგებიდან მუსიკა მიყვარს. თქვენ?

**აიშე:** მე ყველაზე მეტად თეატრი და კინოხელოვნება მომწონს.

**გიგა:** მე მწერლობა და პოეზია მაინტერესებს.

**ჰადი:** მე მხატვრობა და არქიტექტურა მომწონს.

**ანა:** თქვით, რატომ?

**აიშე:** იმიტომ რომ თეატრი და კინო ადამიანების ცხოვრებაზეა.

**გიგა:** მწერლობაც ასეა.

**ჰადი:** მხატვრობა და არქიტექტურაც საჭიროა ადამიანებისთვის.

**ანა:** ხელოვნების ყველა დარგი საინტერესოა.

**აიშე:** მეც ასე ვფიქრობ. ხელოვნება ადამიანებისთვის შეიქმნა.

**გიგა:** ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი!

## 2. დიალოგის მიხედვით აღნიშნეთ ცხრილში, ვის რა მოსწონს (✓)!

სახელები	მუსიკა	თეატრი და კინო	მწერლობა და პოეზია	მხატვრობა და არქიტექტურა
ანა				
აიშე				
გიგა				
ჰადი				





### 3. დიალოგის მიხედვით დაწერეთ ტექსტი!

**ხელოვნების დარგები**

**ნიმუში:**

ანას ხელოვნების დარგებიდან ყველაზე მეტად მუსიკა უყვარს. აიშეს თეატრი მოსწონს, იმიტომ რომ .....

.....  
.....  
.....  
.....

### 4. დააკავშირეთ სიტყვები და შეადგინეთ წინადადებები!

მსახიობი	თეატრი
ბილეთი	დარბაზი
ფილმი	სცენა
ფესტივალი	თამაში
სიბნელე	როლი
განათებული	საბავშვო

.....  
.....  
.....  
.....  
.....



# გრამატიკა

1. თანდებული: -მდე/-მდის (საღამდე? სანამდე? / როდემდე?)

ვითარებითი ბრუნვა ( -ად ) + -მდე
 

- ↙ სახლ-ად+მდე
- სკოლა-დ+მდე
- ↘ საღამო-დ+მდე

**საღამდე?**

ეს ავტობუსი თეატრამდე მიდის.  
 მუზეუმამდე რამდენი გაჩერებაა?  
 სახლამდე ფეხით მივდივარ.  
 ანა, ხვალ სახლიდან სკოლამდე ერთად წავიდეთ!

**სანამდე? / როდემდე?**

ზაფხულამდე სოფელში არ მივდივარ.  
 დღეს ხუთ საათამდე სკოლაში ვართ.  
 ჩემი მშობლები კვირამდე ჩამოვლენ.  
 ბავშვები საღამომდე გამოფენაზე იყვნენ.

2. კავშირი (ან – ან, ხან – ხან)

**ან – ან**

ხვალ ან თეატრში წავალ, ან – მუზეუმში.  
 ან იცეკვე, ან იმღერე!  
 ნიკა, საღამოს ან შენ დამირეკე, ან მე დაგირეკავ.  
 სცენაზე ხან მსახიობები იდგნენ, ხან – მაყურებლები.  
 მოსწავლეები ხან კინოხელოვნებაზე საუბრობდნენ, ხან – მხატვრობაზე.  
 ეს საათი ხან მუშაობს, ხან – არა.

**ხან – ხან**



### 3. ანტონიმური ზმნები

გამოფენა ორშაბათს გაიხსნა და კვირას დაიხურა.  
 მუზეუმი ათ საათზე იღება და ხუთ საათზე იკეტება.  
 ფესტივალი ცნობილმა მომღერალმა გახსნა.  
 სპექტაკლის დაწყების წინ თეატრის კარი დაკეტეს.

**გახსნა – დახურვა**  
 იხსნება – იხურება  
**გაღება – დაკეტვა**  
 იღება – იკეტება

### 4. ზმნის ძირითადი დროის ფორმები:

ჩატარება			
	ახლანდ.	მომავ.	წარს.
მე	ვატარებ	ჩავატარებ	ჩავატარე
შენ	ატარებ	ჩაატარებ	ჩაატარე
ის	ატარებს	ჩაატარებს	<b>მან</b> ჩაატარა
ჩვენ	ვატარებთ	ჩავატარებთ	ჩავატარეთ
თქვენ	ატარებთ	ჩაატარებთ	ჩაატარეთ
ისინი	ატარებენ	ჩაატარებენ	<b>მათ</b> ჩაატარეს







# კროსვორდი

ჩანერეთ კულტურასთან და ხელოვნებასთან დაკავშირებული სიტყვები!

						ჰ							
			ხ	ე	ლ	ო	ვ	ნ	ე	ბ	ა		
						ფ		ა		ა			ი
												ო	
კ	უ	ლ	ტ	უ	რ	ა							
ი												ა	
				ბ		ლ			ი				
ვ		ე										ი	
			ლ										
		ტ							ს				
			ტ		ა		ი			ი	ა		
		ი	ი						ე				
						ღ	რ		ა		ი		

- პასუხები:**
1. კულტურა
  2. ხელოვნება
  3. თეატრი
  4. დარბაზი
  5. ტრადიცია
  6. სცენა
  7. რომანი
  8. ოპერა
  9. კინო
  10. პოეზია
  11. ზღაპარი
  12. ბილეთი
  13. ბალეტი

თავის ძირითადი სიტყვები და ფრაზები:

კულტურა  
ხელოვნება  
მწერლობა  
პოეზია  
რომანი  
მოთხრობა  
ლექსი  
ზღაპარი  
კინოხელოვნება  
თეატრი  
ქორეოგრაფია  
არქიტექტურა  
ანსამბლი  
მოცეკვავე  
გამოფენა  
ფესტივალი  
ტრადიცია

გაღება  
გახსნა  
დახურვა  
საუბარი  
მონყოლა  
გამართვა  
ჩატარება

დროებით  
ბილეთის  
ყიდვა  
ბილეთის  
აღება  
მონაწილეობის  
მიღება  
გამოფენის  
მონყოლა  
ფესტივალის  
გახსნა



## თავი 3. ვიცხოვროთ სპორტულად! ვიყოთ ჯანმრთელები!



- ✓ სპორტი
- ✓ სპორტის სახეობები
- ✓ ჯანმრთელობა
- ✓ ვიზიტი ექიმთან
- ✓ თანდებული (გამო)
- ✓ მსაზღვრელ-საზღვრული (ექიმის კაბინეტი)
- ✓ შესაძლებლობის გამოხატვა (ნაწილაკი ვერ)
- ✓ წარმოქმნილი სახელები (მო-ე)
- ✓ ანტონიმური ზმნები (გამარჯვება – დამარცხება, მოგება – წაგება)
- ✓ ზმნები (ხველება, ვარჯიში, შეჯიბრება, სირბილი, დაღლა, გამარჯვება, დამარცხება, მოგება, წაგება)
- ✓ თავაზიანი ფორმები (რა განუხებთ? თავს როგორ გრძნობთ? გამოჯანმრთელებას გისურვებთ! გისურვებთ ჯანმრთელობას!)
- ✓ ფრაზები (ექიმის / სასწრაფო დახმარების გამოძახება, დახმარება მჭირდება, რეცეპტის გამოწერა, ანალიზის გაკეთება, წნევის / სხეულის ტემპერატურის გაზომვა, პულსის გასინჯვა, წამლის მიღება, პრიზით დაჯილდოება, პირველადი სამედიცინო დახმარების განწევა, შეჯიბრებაში მონაწილეობა, გოლის გატანა...)





1. მოსმინეთ სიტყვები! 

1. სპორტულ შეჯიბრებაზე

2. დილის ვარჯიში

3. ცურვაზე

4. კალათბურთის თამაში

5. დაჯილდოება

6. საავადმყოფოში

7. ჩემპიონატი ჭადრაკში

8. სტომატოლოგთან


9. პულისის გასინჯვა

10. ფეხბურთის მოედანზე

11. სასწრაფო დახმარება

12. პედიატრთან

2. მოსმენილი სიტყვები მიუწერეთ შესაბამის სურათებს! 







3. გაიმეორეთ მოსმენილი სიტყვები! 

❖ დაიმახსოვრეთ!



**სპორტის სახეობები**

ფეხბურთი	ჭიდაობა
კალათბურთი	ძიულო
წყალბურთი	კრივი
ჩოგბურთი	კარატე
ტანვარუიში	ცურვა
ჭადრაკი	რაგბი


**დაავადებები**

გრიპი	➤	ტკივილი
თავის		
კბილის		
ყელის		
ალერგია		
ანთება		



# კითხვა-გაგება

## 1.1. წაიკითხეთ ტექსტი!



### ➤ ჩვენ გვიყვარს სპორტი

სპორტი ყველას სჭირდება. დილის გამამხნეველი ვარჯიში, სუფთა ჰაერზე გასეირნება, ცურვა, სირბილი, სპორტის სხვადასხვა სახეობა ადამიანის ჯანმრთელობისთვის ძალიან სასარგებლოა.

ზაფერი და ნიკა თანაკლასელები არიან. სპორტი ორივეს უყვარს. ზაფერი მოჭადრაკეა, კალათბურთსაც კარგად თამაშობს და ფეხბურთსაც.

ნიკა ჩოგბურთელია. ისიც თამაშობს ფეხბურთს, მაგრამ ძალიან უყვარს წყალბურთი.

ნიკა და ზაფერი ერთად დადიან ცურვაზე. ორივე წარმატებული სპორტსმენია. ისინი ხშირად მონაწილეობენ სპორტულ შეჯიბრებებში.





## 1.2. ტექსტის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს!

1) ვისთვის არის სასარგებლო სპორტი?  
.....

2) სპორტის რომელი სახეობით არის დაკავებული ზაფერი?  
.....

3) სპორტის რომელი სახეობით არის დაკავებული ნიკა?  
.....

4) ზაფერი და ნიკა ცურვაზე დადიან?  
.....

5) ზაფერი და ნიკა მონაწილეობენ სპორტულ შეჯიბრებებში?  
.....

## 2.1. წაიკითხეთ დიალოგი!

➤ **ვიზიტი ექიმთან**

**დედა:** გამარჯობა! შეიძლება ექიმო?

**ექიმი:** გაგიმარჯოთ! მობრძანდით! რა განუხებთ?

**დედა:** ომარი გაცივებულია, ტემპერატურა აქვს.

**ექიმი:** ომარ, ყელი გტკივა? გახველებს?

**ომარი:** დიახ, ძალიან მტკივა ყელი და მახველებს.

**ექიმი:** ყელი წითელი გაქვს. წამალი უნდა მიიღო.

**დედა:** ექიმო, მომეცით, თუ შეიძლება რეცეპტი!

**ექიმი:** ომარი დაზღვეულია?

**დედა:** დიახ, საოჯახო დაზღვევა გვაქვს.

**ექიმი:** ომარ, გამოჯანმრთელებას გისურვებ!

**ომარი:** დიდი მადლობა, ექიმო. ნახვამდის!

**ექიმი:** აუცილებლად დამირეკეთ. ნახვამდის!







2.2. დიალოგის მიხედვით აღნიშნეთ სწორი და არასწორი პასუხები (✓)!

ა. ომარი სტომატოლოგთან არის.

ბ. ომარი პედიატრთან არის.

ა. ომარს ტემპერატურა აქვს.

ბ. ომარს ტემპერატურა არა აქვს.

ა. ომარს კბილი და ყელი სტკივა.

ბ. ომარს ყელი სტკივა და ახველებს.

ა. ომარის ოჯახი დაზღვეულია.

ბ. ომარის ოჯახი დაზღვეული არ არის.

2.3. წაიკითხეთ დიალოგები!

**სპორტის სასახლე**

**სპორტული სკოლა**

**საცურაო აუზი**

ა: სად დადიხარ ცურვაზე?  
 ბ: საცურაო აუზზე დავდივარ.  
 ა: ჭადრაკის სასახლეში დადიხარ?  
 ბ: არა, ჭადრაკი არ ვიცი.  
 მე სპორტულ სკოლაში დავდივარ.  
 ა: მე სპორტის სასახლეში დავდივარ ტანვარჯიშზე.  
 ბ: მე კარატეზე დავდივარ.

**ჭადრაკის სასახლე**



### სამედიცინო ცენტრი



### ბავშვთა საავადმყოფო



### კლინიკა



### აფთიაქი



ა: სად მუშაობს მამა?

ბ: მამა სამედიცინო ცენტრში მუშაობს.

ა: დედა?

ბ: დედა – ბავშვთა საავადმყოფოში.

ა: მამაჩემიც ექიმია, დედა ფარმაცევტია.

ბ: სად მუშაობენ ისინი?

ა: მამა კლინიკაში მუშაობს, დედა – აფთიაქში.

### 2.4. დიალოგების მიხედვით ჩამოთვალეთ!

1) სპორტული დანესებულებები: .....

2) სპორტის სახეობები: .....

3) სამედიცინო დანესებულებები: .....

4) პროფესიები: .....



# მოსმენა და გაგება

1. მოისმინეთ წინადადებები და შეავსეთ ცხრილი! 

სახელი	ასაკი	ქალაქი	სპორტის სახეობა
ჰასანი	17 წლის		
ირაკლი			მოჭიდავე
ზეინაბი		ანკარელი	
ნანა	14 წლის		

2. მოისმინეთ ტექსტები და დასვით შეკითხვები! 

- 1) .....  
სერგენის მამა კლინიკაში მუშაობს.
- 2) .....  
დიახ, დედა ოჯახის ექიმია.
- 3) .....  
არა, სონერი მოჭადრაკე არ არის, მოკრივეა.
- 4) .....  
სპორტი, ვარჯიში, სუფთა ჰაერზე ყოფნა და სწორი კვება.
- 5) .....  
ბაბუას ფეხი სტკივა.
- 6) .....  
მარიამმა იცის პირველადი სამედიცინო დახმარების განწევა.

3. მოსმენილი ტექსტების მიხედვით ჩაწერეთ ზმნები! 

- 1) სერგენის მამა კლინიკაში .....
- 2) სერგენის დედა სამედიცინო ცენტრში .....
- 3) მარიამს ჯანმრთელი მშობლები .....
- 4) ბაბუას ფეხი ..... და .....
- 5) მარიამის ბებუას წნევა ..... და აბებს .....





# საუბარი

## 1. წაიკითხეთ დიალოგები!



### ➤ ექიმთან

**პაციენტი:** ბოდიში, ექიმო, შეიძლება შემოვიდე?

**ექიმი:** მობრძანდით, ქალბატონო, რა განუხებთ?

**პაციენტი:** შეუძლოდ ვარ, გული მანუხებს.

**ექიმი:** ხშირად იღლებით? როგორ გძინავთ?

**პაციენტი:** ხშირად ვიღლები, კარგად არ მძინავს.

**ექიმი:** ახლაც დაღლილი ხართ, ცოტა დაისვენეთ და გაგსინჯავთ.

**პაციენტი:** უკვე დავისვენე. გამსინჯეთ!

**ექიმი:** ქალბატონო, თქვენ მკურნალობა გჭირდებათ!

**პაციენტი:** რა წამლები უნდა მივიღო?

**ექიმი:** რეცეპტს მოგცემთ. ეს აბები მიიღეთ და კარგად იქნებით.

**პაციენტი:** დიდი მადლობა. კარგად ბრძანდებოდეთ!

### ➤ სასწრაფო დახმარების გამოძახება

**ა:** ალო, სასწრაფო დახმარებაა?

**ბ:** დიახ, ქალბატონო, რა ვნებავთ?

**ა:** შვილის გამო გირეკავთ.

ავად არის, ასთმა ანუხებს.

ახლა გაცივებულია, მაღალი

ტემპერატურა აქვს.

**ბ:** ანალიზი გაკეთებული გაქვთ?

**ა:** დიახ, ანალიზი გუშინ

გაუკეთეს.

**ბ:** მითხარით თქვენი მისამართი!

**ა:** ქალაქის ცენტრში, მუზეუმის

წინ ვცხოვრობთ, სახლი №8,

მეორე სართული, ბინა №25.

**ბ:** 5 წუთში სასწრაფო დახმარების

მანქანა თქვენთან იქნება.

**ა:** კარგი, გელოდებით!



2. მოცემული სიტყვების გამოყენებით ააგეთ მსგავსი დიალოგები!

ექიმის გამოძახება  
ტემპერატურა  
ლია  
პედიატრი

სტომატოლოგთან  
კბილი  
შულე  
ბავშვთა საავადმყოფო

3. წაკითხეთ ტექსტი!



➤ **სპორტული შეჯიბრება**  
 პირველი და მეხუთე სკოლების მოსწავლეთა საფეხბურთო გუნდების მატჩი ორ საათზე დაიწყო. ორივე გუნდმა კარგად ითამაშა. ბოლო წუთებში პირველი სკოლის გუნდმა გაიტანა გოლი და გაიმარჯვა. მეხუთე სკოლის გუნდი დამარცხდა.  
 სპორტული სკოლის დირექტორმა გამარჯვებული გუნდი პრიზებით დააჯილდოვა. წაგებული გუნდის წევრებმა მიულოცეს თანატოლებს მატჩის მოგება.

4. შექმენით მსგავსი ტექსტი და ისაუბრეთ სპორტის შესახებ!

❖ **დაიმახსოვრეთ!**




ფეხბურთი > ფეხბურთ-ელ-ი  
 კალათბურთი > კალათბურთ-ელ-ი...  
 ჭადრაკი > მო-ჭადრაკ-ე  
 ჭიდაობა > მო-ჭიდავ-ე...  
 რაგბი > რაგბ-ისტი  
 კარატე > კარატ-ისტი...

პედიატრი (ბავშვთა ექიმი)  
 კარდიოლოგი (გულის ექიმი)  
 სტომატოლოგი (კბილის ექიმი)  
 თერაპევტი (შინაგან სნეულებათა ექიმი)



# წერა

1. დაწერეთ წინადადებები სურათების მიხედვით!



1) ფეხბურთელი ბურთს თამაშობს.

2) .....

3) .....

4) .....

2. შეავსეთ თქვენი საყვარელი სპორტსმენის ანკეტა!

სახელი	
გვარი	
დაბადების თარიღი	
დაბადების ადგილი	
ეროვნება	
საცხოვრებელი ადგილი	
სპორტის სახეობა	
გუნდი	





### 3. წაკითხეთ ტექსტი!

ბილალი მეშვიდეკლასელია. ის ბეჯითი მოსწავლეა. ყველა საგანს ძალიან კარგად სწავლობს.

ბილალი კვირას მეგობრებთან ერთად ექსკურსიაზე იყო. ის გაცვივდა და ავად გახდა, ავადმყოფობის გამო ორშაბათს სკოლაში ვერ წავიდა.

ბილალს ყელი სტკიოდა და მაღალი ტემპერატურა ჰქონდა. მშობლებმა ექიმი გამოიძახეს. ბილალმა წამლები მიიღო და უკეთ გახდა.

### 4. ტექსტის მიხედვით შეადგინეთ დიალოგი!

**ნიმუში:**

**ა: რომელ კლასში სწავლობს ბილალი?**

**ბ: ბილალი მეშვიდეკლასელია.**

ა: .....

ბ: .....

ა: .....

ბ: .....

ა: .....

ბ: .....

ა: .....

ბ: .....

ანდაზა:

„მოგება და წაგება  
ძმებიაო!“



# გრამატიკა

## 1. თანდებული (გამო)


ნათესაობითი ბრუნვა (-ის) + -გამო  $\begin{cases} \text{ვის გამო?} \\ \text{რის გამო?} \end{cases}$  || რატომ?

ბავშვ-ის გამო, ფატმა-ს გამო... ჩემ გამო, შენ გამო, მ-ის გამო...

დედამ სასწრაფო დახმარება  
შვილის გამო გამოიძახა.  
ექიმო, ბავშვის გამო გირეკავთ.  
მასწავლებლო, სკოლაში  
ჩემი ძმის გამო დავაგვიანე.

ლია თავის ტკივილის გამო  
დღეს სკოლაში არ არის.  
ავადმყოფობის გამო მირეკავთ?  
დამარცხების გამო თავს  
ცუდად გრძნობდა.

## 2. მსაზღვრელ-საზღვრული



ჩვენი გუნდის მწვრთნელი ცნობილი  
სპორტსმენია.  
შეჯიბრების დაწყებამდე ერთი საათია.  
ფეხბურთის მატჩის ბილეთები მინდა.  
პედიატრის კაბინეტი პირველ სართულზეა?  
თავის ტკივილის აბები მომეცით!  
ავად ვარ, ექიმის გამოძახება მინდა.



### 3. შესაძლებლობის გამოხატვა (ნაწილაკი ვერ)

**ვერ** → დღეს სპორტის სასახლეში ვერ მივდივარ. ფატმას გამო ექსკურსიაზე ვერ წავედით. ფეხის ტკივილის გამო ვერ ვივარჯიშებ. იმ გუნდმა ვერ გაიმარჯვა, დამარცხდა.

**არ — ვერ**  
 არ მივდივარ — ვერ მივდივარ (არ შემიძლია წასვლა)  
 არ ვაკეთებ — ვერ ვაკეთებ (არ შემიძლია გაკეთება)  
 არ ვლაპარაკობ — ვერ ვლაპარაკობ (არ შემიძლია ლაპარაკი)  
 არ ვვარჯიშობ — ვერ ვვარჯიშობ (არ შემიძლია ვარჯიში)

### 4. წარმოქმნილი სახელები (მო-ე)

ჭადრაკი > მო-ჭადრაკ -ე  
 ჭიდაობა > მო-ჭიდავ -ე  
 კრივი > მო-კრივ-ე  
 ტანვარჯიში > ტან-მო-ვარჯიშ-ე

აიშეს უფროსი ძმა ცნობილი მოჭადრაკეა. მოჭიდავეები სპორტულ დარბაზში ვარჯიშობენ. მოკრივეებმა შეჯიბრებაზე წარმატებას მიაღწიეს. ტანმოვარჯიშეებს პრიზები მისცეს.

### 5. ანტონიმური ზმნები

გამარჯვება – დამარცხება  
 გაიმარჯვა – დამარცხდა  
 მოგება – წაგება  
 მოიგო – წააგო

ჩვენი სკოლის სპორტსმენებმა სპორტულ შეჯიბრებებში გაიმარჯვეს. ტანმოვარჯიშეები მსოფლიო ჩემპიონატში დამარცხდნენ. ფეხბურთის გუნდმა მატჩი მოიგო. რაგბისტებმა თამაში წააგეს.





6. ზმნის ძირითადი ღროის ფორმები:

ვარჯიში			
	ახლანდ.	მომავ.	წარს.
მე	ვვარჯიშობ	ვივარჯიშებ	ვივარჯიშე
შენ	ვარჯიშობ	ივარჯიშებ	ივარჯიშე
ის	ვარჯიშობს	ივარჯიშებს	ივარჯიშა <b>მან</b>
ჩვენ	ვვარჯიშობთ	ვივარჯიშებთ	ვივარჯიშეთ
თქვენ	ვარჯიშობთ	ივარჯიშებთ	ივარჯიშეთ
ისინი	ვარჯიშობენ	ივარჯიშებენ	ივარჯიშეს <b>მათ</b>





# კროსვორდი

ჩანერეთ სპორტის სახეობებისა და დაავადებათა სახელები!

**პასუხები:**

გ		მ	ა		ვ			ა						
ი			ი		ს									
					ვ				ს		ჯ	ი		
ი			ღ		ო				ვ					
		ჯ	ა	ნ	მ	რ	თ	ე	ლ	ო	ბ	ა		
						ტ				რ				
			ვ			ი		ე		ტ			კ	
										ს				
			ღ		წ			ი		მ			ი	
მ		გ		ბ					ო	ე		ა		ი
			ბ		გ			ი		ნ			ი	
ღ										ი				
												ა		
ა				ვ		რ		ი		ი				

1. ჯანმრთელობა
2. სპორტი
3. სპორტსმენი
4. მსაჯი
5. დაავადება
6. გრიპი
7. მედლა
8. მოგება
9. გამარჯვება
10. კლინიკა
11. ექიმი
12. მოედანი
13. ვარჯიში
14. წაგება
15. აბი

თავის ძირითადი სიტყვები და ფრაზები:

გამომვა  
ტკივილი  
დაღლა  
დაჯილდოება  
გამარჯვება  
დამარცხება  
მოგება  
წაგება  
შეჯიბრება

სპორტი  
სახეობა  
სპორტსმენი  
ჩემპიონატი  
პრიზი  
კაბინეტი  
დაავადება  
ალერგია  
გრიპი  
ხველება  
აბი  
ვიზიტი  
წნევა  
პულსი

ექიმის/სასწრაფო  
დახმარების  
გამოძახება  
რეცეპტის  
გამონერა  
ანალიზის  
გაკეთება  
წამლის მიღება  
პირველადი  
სამედიცინო  
დახმარების გაწევა  
ჯანმრთელობის  
დაზღვევა





## თავი 4. დღესასწაულები. მილოცვა

✓ დღესასწაული

✓ მილოცვა. მილოცვის ფორმები

✓ მონვევა

✓ სურვილები

✓ წინარე წარსული (I შედეგობითი) (დამინერია, წამიკითხავს, მითქვამს, წავსულვარ...)

✓ ზმნის პირთა კომბინაციები (ვულოცავ – მილოცავს...)

✓ ზმნები (დაპატიჟება, გამასპინძლება, გაცილება, მილოცვა, გავზავნა, ანთება, ჩუქება)

✓ ფრაზები (სუფრის გაშლა, ნაძვის ხის მორთვა, დაბადების დღის / დღესასწაულის აღნიშვნა, დაბადების დღის / ქორწილის გადახდა, ბედნიერებას ვისურვებთ! გინვევთ დაბადების დღეზე / ქორწილში)





1. მოისმინეთ სიტყვები! 

1. ახალი წელი

7. ბავშვთა დღე

2. დაბადების დღე

8. დედის დღე

3. მილოცვა

9. მასწავლებლის დღე

4. მისალოცი ბარათი

10. საჩუქარი



5. მოსაწვევი ბარათი


11. ტორტი

6. ქორწილი

12. ფეიერვერკი

2. მოსმენილი სიტყვები მიუწერეთ შესაბამის სურათებს! 





3. გაიმეორეთ მოსმენილი სიტყვები! 

★ მილოცვის ფორმები

გილოცავთ დღესასწაულს!  
გილოცავთ დაბადების დღეს!  
გილოცავთ დედის დღეს!  
გილოცავთ მასწავლებლის დღეს!  
გილოცავთ ახალ წელს!  
გილოცავთ, მრავალ დღესასწაულს დაესწარიო!





# კითხვა-გაგება

## 1.1. წაიკითხეთ დიალოგები!



### დიალოგი 1.

აიშე: ანა, ჩემს დაბადების დღეზე გპატიუებ, მოხვალ?  
ანა: გილოცავ! აუცილებლად მოვალ, რომელ საათზე?  
აიშე: საღამოს ექვს საათზე სახლში გელოდები.  
ანა: ჩვენი კლასელებიც მოვლენ?  
აიშე: ბევრი მოვა, კარგად გავერთობით.  
ანა: რა კარგია! ალბათ, გემრიელ ტორტსაც შევჭამთ.  
აიშე: დიახ, დედამ ძალიან ლამაზი ტორტი გამოაცხო.  
ანა: კარგი, მოვემზადები, შეხვედრამდე!

### დიალოგი 2.

დედა: აიშე, სტუმრები მოვიდნენ, ანა და ფატმა.  
ანა: აიშე, გილოცავ დაბადების დღეს!  
ფატმა: ბედნიერებას, წარმატებებს გისურვებ!  
აიშე: მოლოცვისთვის მადლობა, ჩემო მეგობრებო!  
ანა: აიშე, აი, ჩვენი საჩუქარი!  
ფატმა: ალბათ, მოგეწონება, საინტერესო წიგნებია.  
აიშე: თაიგულიც ძალიან ლამაზია, მადლობა!  
დედა: სუფრასთან მობრძანდით, გთხოვთ!  
აიშე: დედა, ტორტზე სანთლები ავანთოთ!  
დედა: ტორტიც გავჭრათ! მივულოცოთ!  
ანა და ფატმა: აიშე, გი-ლო-ცავთ!





**1.2. წაკითხული დიალოგების მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს!**

1. როდის არის აიშეს დაბადების დღე?

.....

2. როგორ აღნიშნავს აიშეს დაბადების დღეს ოჯახი?

.....

3. ვინ პატიუებს აიშეს კლასელებს?

.....

4. ნათესავები და ახლობლები მოდიან სტუმრად?

.....

5. ვინ არიან ანა და ფატმა?

.....

**1.3. წაკითხული დიალოგების მიხედვით აღნიშნეთ სწორი პასუხები (✓)!**

1. აიშეს დაბადების დღე

ა. ოცდაორი აპრილია.

ბ. ოცდასამი აპრილია.

2. ანა და ფატმა აიშეს

ა. ნათესავები არიან.

ბ. კლასელები არიან.

3. აიშესთვის ტორტი

ა. დედამ გამოაცხო.

ბ. ბებიამ გამოაცხო.

4. აიშეს აჩუქეს

ა. წიგნები და სურათი.

ბ. წიგნები და თაიგული.



## 2.1. წაიკითხეთ ტექსტები!



ახმელის ოჯახში რამაზანის დღესასწაულს აღნიშნავენ. დედა და ესმა სუფრას შლიან. ბებია სამზარეულოში გემრიელ კერძებს ამზადებს. ბაბუა ხორცს ჭრის. ახმელი და მამა დილიდან სუპერმარკეტში წავიდნენ, ხილი და ბოსტნეული უნდა იყიდონ.

სალამოს მათთან ბევრი სტუმარი იქნება. ისინი ერთმანეთს რამაზანის დღესასწაულს მიულოცავენ.



თამარის ოჯახი აღდგომის დღესასწაულს სოფელში, ბე-ბიასთან და ბაბუასთან, გაატარებს. ყველანი ემზადებიან დღესასწაულისთვის. დედა და თამარი სააღდგომო ნამცხვრებს აცხობენ, თამარის დები მამასთან ერთად საჩუქრებს ყიდულობენ. ბებიასთან და ბაბუასთან აღდგომის დღესასწაულზე ყოველთვის ბევრი სტუმარია. მათ უყვართ სტუმრების გამას-პინძლება.

**2.2. წაკითხული ტექსტების მიხედვით აღნიშნეთ სწორი და არასწორი პასუხები!**

	სწორია	არასწორია
1. ახმედის ოჯახი რამაზანის დღესასწაულს აღნიშნავს.	✓	
2. ბებია სახლს ალაგებს, ბაბუა ხორცს ჭრის.		
3. დედა და ესმა სუფრას შლიან.		
4. ახმედი და მამა ბაზარში წავიდნენ.		
5. თამარის ოჯახი აღდგომის დღესასწაულს სოფელში ატარებს.		
6. დედა და თამარი ნამცხვრებს აცხობენ.		
7. თამარის მამა და დები საჩუქრებს ყიდულობენ.		
8. ახმედისა და თამარის ოჯახები სტუმრებს ელოდებიან.		





# მოსმენა და გაცემა

1. მოისმინეთ წინადადებები და მიუწერეთ შესაბამის სურათებს!



2. მოისმინეთ ტექსტი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები!



- 1) ახალი წელი ბავშვების .....
- 2) ყველას ოჯახში ნაძვის ხეს ....., ტკბილეულს .....
- 3) ..... საჩუქრებს ყიდულობენ.
- 4) მომღერლები და მსახიობები .....
- 5) ..... ფეიერვერკებით მთავრდება.



3. მოსმენილი ტექსტის მიხედვით ააგეთ დიალოგი!

ა: .....

ბ: .....

ა: .....

ბ: .....

ა: .....

ბ: .....

ა: .....

ბ: .....







# საუბარი

## 1. წაიკითხეთ დიალოგი!



ზათფერი: ირაკლი, ესმას დაბადების დღეზე ერთად წავიდეთ?

ირაკლი: წავიდეთ, დაბადების დღე მივულოცოთ!

ზათფერი: ნიკაც ჩვენთან ერთად წამოვა?

ირაკლი: არა, ნიკა შეჯიბრებაზე წასულა. მან ესმას მისალოცი ბარათი გაუგზავნა.

ზათფერი: რომელ საათზე წავიდეთ?

ირაკლი: ოთხ საათზე ვართ დაპატიუებული.

ზათფერი: კარგი, წასვლამდე დაგირეკავ.





2. მოცემული ნიმუშების მიხედვით შეადგინეთ მსგავსი მილოცვისა და მონვევის ტექსტები!

1 იანვარი ახალი წელია.  
 23 აპრილი ბავშვთა დღეა.  
 10 მაისი დედის დღეა.  
 24 ნოემბერი მასწავლებლის დღეა.

მოსაწვევი ბარათი  
 ქალბატონო ელენე!  
 2 იანვარს მეშვიდე კლასის  
 მოსწავლეები გინვევთ  
 საახალწლო ზეიმზე.

მისალოცი ბარათი  
 ლეილა, გილოცავ დაბადების დღეს!  
 გისურვებ ბედნიერებას, წარმატებებს  
 სწავლაში! ძალიან მიყვარხარ.  
 შენ ჩემი საუკეთესო მეგობარი ხარ.  
 ლია

ჩემო საყვარელო დედა!  
 გილოცავ დედის დღეს! გისურვებ  
 ჯანმრთელობასა და ბედნიერებას!  
 შენ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი,  
 თბილი და კეთილი ადამიანი ხარ.  
 შენი აიშე

3. ისაუბრეთ, რომელი დღესასწაული გიყვართ და როგორ აღნიშნავთ თქვენს დაბადების დღეს!

❖ დაიმახსოვრეთ!





# წერა



## 1. წაიკითხეთ დიალოგი!

**ლია:** გავიგე, მასწავლებლის დღე თქვენს სკოლაში საინტერესოდ აღუნიშნავთ.

**სემრა:** დიახ, ყველა კმაყოფილი იყო.

**ლია:** ბავშვებს გამოფენები მოუწყვიათ, შეხვედრები, კონკურსები, შეჯიბრებები ჩაუტარებიათ.

**სემრა:** ძალიან კარგი კონცერტიც გამართეს.

**ლია:** მასწავლებლებისთვის ლექსები წაუკითხავთ, უმღერიათ.

**სემრა:** ბოლოს მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა ერთად ფოტოსურათებიც გადაიღეს.

**ლია:** რა კარგია!

**სემრა:** მასწავლებლის დღე – 24 ნოემბერი ძალიან კარგი დღე იყო.



**2. წაკითხული დიალოგის მიხედვით შეადგინეთ ტექსტი!**

.....

.....

.....

.....

.....

.....

**3. შეავსეთ თქვენი მასწავლებლის მისალოცი ბარათი!**

**მისალოცი ბარათი**

.....

.....

.....

.....

.....

.....

**4. წაკითხეთ ტექსტი!**

მარიამის ოჯახში დღესასწაულია – ძმის, სონერის, ქორწილს იხდიან. ბევრი სტუმარი მოვიდა: ნათესავები, ოჯახის ახლობლები, მეგობრები. მათ დრო მხიარულად გაატარეს, საინტერესო ფოტოებიც გადაიღეს. ყველაზე მეტად მარიამი გაერთო. ქორწილი ფერად-ფერადი ფეირვერკებით დამთავრდა.

მასპინძლებმა სტუმრები გვიან გააცილეს.





5. შეავსეთ ქორწილის მოსაწვევი ბარათი და დაწერეთ მსგავსი შინაარსის ტექსტი!  
(გამოიყენეთ სიტყვები: ბატონო / ქალბატონო, გინვევთ, საქორწილო სუფრასთან, მისამართი, საათი, რესტორანი...)

**მოსაწვევი ბარათი**

.....

.....

.....

.....

.....

.....


.....

.....

.....

.....


.....





# გრამატიკა

## 1. წინარე წარსული (I შედეგობითი) – რა მიქნია?



I შედეგობითი				
	<b>წერა</b>	<b>წასვლა</b>	<b>მილოცვა</b>	<b>ჩაცმა</b>
მე	დამიწერია	წავსულვარ	მიმილოცავს	ჩამიცვამს
შენ	დაგიწერია	წასულხარ	მიგილოცავს	ჩაგიცვამს
მას	დაუწერია	წასულა <b>ის</b>	მიულოცავს <b>მას</b>	ჩაუცვამს <b>მას</b>
ჩვენ	დაგვიწერია	წავსულვართ	მიგვილოცავს	ჩაგვიცვამს
თქვენ	დაგიწერიათ	წასულხართ	მიგილოცავთ	ჩაგიცვამთ
მათ	დაუწერიათ	წასულან <b>ისინი</b>	მიულოცავთ <b>მათ</b>	ჩაუცვამთ <b>მათ</b>

ჩემი კლასელები ბათერის დაბადების დღეზე **წასულან**.  
 კუდი ამინდის გამო ზეიმზე **არ წავსულვართ**.  
 ნანას დაბადების დღეზე აიშე და თვატმა **დაუპატიუებია**.  
 მოსწავლეებს მასწავლებლებისთვის ახალი წელი **მიულოცავთ**.  
 ლეილას ოჯახს დის ქორწილი სოფელში **გადაუხდია**.  
 ალის ბაბუასთვის რამაზანის დღესასწაული **მიულოცავს**.  
 ალდგომის დღესასწაულზე სოფელში **არ წასულხართ**?



2. ზმნის პირთა კომბინაციები (ვულოცავ – მილოცავს)

ახლანდელი დრო		
მე	შენ	ის
შენ/თქვენ გილოცავ/-თ მას/მათ ვულოცავ	მე მილოცავ – ჩვენ გვილოცავ მას/მათ ულოცავ	მე მილოცავს – ჩვენ გვილოცავს შენ/თქვენ გილოცავს/-თ მას/მათ ულოცავს
ჩვენ	თქვენ	ისინი
შენ/თქვენ გილოცავთ მას/მათ ვულოცავთ	მე მილოცავთ – ჩვენ გვილოცავთ მას/მათ ულოცავთ	მე მილოცავენ – ჩვენ გვილოცავენ შენ/თქვენ გილოცავენ მას/მათ ულოცავენ

მომავალი დრო		
მე	შენ	ის
შენ/თქვენ მოგილოცავ/-თ მას/მათ მივულოცავ	მე მომილოცავ – ჩვენ მოგვილოცავ მას/მათ მიულოცავ	მე მომილოცავს – ჩვენ მოგვილოცავს შენ/თქვენ მოგილოცავს/-თ მას/მათ მიულოცავს
ჩვენ	თქვენ	ისინი
შენ/თქვენ მოგილოცავთ მას/მათ მივულოცავთ	მე მომილოცავთ – ჩვენ მოგვილოცავთ მას/მათ მიულოცავთ	მე მომილოცავენ – ჩვენ მოგვილოცავენ შენ/თქვენ მოგილოცავენ მას/მათ მიულოცავენ

წარსული დრო		
მე	შენ	მან
შენ/თქვენ მოგილოცე/-თ მას/მათ მივულოცე	მე მომილოცე – ჩვენ მოგვილოცე მას/მათ მიულოცე	მე მომილოცა – ჩვენ მოგვილოცა შენ/თქვენ მოგილოცა/-თ მას/მათ მიულოცა
ჩვენ	თქვენ	მათ
შენ/თქვენ მოგილოცეთ მას/მათ მივულოცეთ	მე მომილოცეთ – ჩვენ მოგვილოცეთ მას/მათ მიულოცეთ	მე მომილოცეს – ჩვენ მოგვილოცეს შენ/თქვენ მოგილოცეს მას/მათ მიულოცეს





ჩემს ძმას დაბადების დღეს ვულოცავ.  
 თამარი თბილისიდან დაბადების დღეს მილოცავს.  
 მეგობრებო, გილოცავთ ბავშვთა დღეს!  
 ფატმა, მეგობარს დღესასწაული მიულოცე?  
 მოსწავლეები მასწავლებლებს ახალ წელს მიულოცავენ.  
 ახმედსა და ესმას დედისთვის დედის დღე მიულოცავთ.  
 როგორ ულოცავთ დღესასწაულებს ერთმანეთს?  
 სტამბოლი ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალს მასპინძლობს.  
 ჩვენ თურქეთიდან მოსულ სტუმრებს ვუმასპინძლებით.  
 ირაკლის ოჯახი კარგად გაგვიმასპინძლდა.  
 როგორ გაუმასპინძლდით თქვენს ნათესაებს?

3. ზმნის ძირითადი დროის ფორმები:

გაგზავნა			
	ახლანდ.	მომავ.	წარს.
<b>მე</b>	ვგზავნი	გავგზავნი	გავგზავნე
<b>შენ</b>	აგზავნი	გააგზავნი	გააგზავნე
<b>ის</b>	აგზავნის	გააგზავნის	გააგზავნა <b>მან</b>
<b>ჩვენ</b>	ვგზავნით	გავგზავნით	გავგზავნეთ
<b>თქვენ</b>	აგზავნით	გააგზავნით	გააგზავნეთ
<b>ისინი</b>	აგზავნიან	გააგზავნიან	გააგზავნეს <b>მათ</b>



# კროსვორდი

ჩანერეთ დღესასწაულებთან დაკავშირებული სიტყვები!

ჩ					დ	ა	ბ	ა	დ	ე	ბ	ი	ს		
ა	თ	ბ													
რ									გ				დ		
							ბ		ი				ე		
ბ	დ	დ	ე	ს	ა	ს	წ	ა	უ	ლ	ი				ქ
ა				ა						ო					
	ს						ა		ც				გ		რ
				უ					ა						
				ნ				ი	ვ				ტ		ი
				ა					თ						
	ფ	ე		ე		ვ		კ			ტ		რ		ი
				ი											
				ი											ბ
					დ		კ		ტ		შ		ბ	ა	

## პასუხები:

1. დღესასწაული
2. დაბადების დღე
3. გილოცავთ
4. ჩაქრობა
5. დაპატიუება
6. ქორწილი
7. ტორტი
8. საჩუქარი
9. გატარება
10. ბარათი
11. ფეიერვერკი
12. სანთელი
13. ანთება

თავის ძირითადი სიტყვები და ფრაზები:

დღესასწაული  
ქორწილი  
ფეიერვერკი  
საჩუქარი  
ტორტი  
სანთელი  
ბარათი  
ზეიმი  
ძვირფასი  
ფერად-ფერადი

მილოცვა  
გადახდა  
აღნიშვნა  
დაპატიუება  
გამასპინძლება  
გაცილება  
გაგზავნა  
ანთება

მისალოცი ბარათი  
მოსაწვევი ბარათი  
სუფრის გაშლა  
დაბადების დღის /  
ქორწილის გადახდა  
ბედნიერებას /  
წარმატებებს გისურვებთ!  
გინვეთ დაბადების  
დღეზე / ქორწილში



## თავი 5.

# ვიმოგზაუროთ მსოფლიოს გარშემო!

- ✓ კონტინენტები
- ✓ სახელმწიფოები
- ✓ თურქეთი და საქართველო
- ✓ დროისა და რიგობა-ჯერობის გამოხატვა (ჯერ, სამჯერ...)
- ✓ ვალდებულებისა და ნატვრა-სურვილის გამოხატვა (II შედეგობითი)  
(მემოგზაურა, მენახა, გამეცნო, შევხვედროდი, წავსულიყავი...)
- ✓ ზმნები (ნახვა, ფრენა, დასვენება)
- ✓ ზმნიზედა. ზმნიზედა თანდებულის მნიშვნელობით (სინონიმები:  
ირგვლივ = გარშემო... ანტონიმები: წინ ≠ უკან...)
- ✓ ფრაზები (ტურისტს იზიდავს, ირგვლივ აკრავს... ქვეყანას  
ესაზღვრება, კონტინენტებს აერთიანებს)







1. მოისმინეთ სიტყვები!



1. კუნძული

2. ჩანჩქერი

3. ზღვა

4. ტბა

5. მდინარე

6. მთა


7. გამოქვაბული

8. პირამიდა

9. ეიფელის კოშკი

10. უდაბნო

2. მოსმენილი სიტყვები მიუწერეთ შესაბამის სურათებს!



3. გაიმეორეთ მოსმენილი სიტყვები!





# კითხვა-გაგება

## 1.1. წაიკითხეთ ტექსტი!



### ➤ კონტინენტები

კონტინენტი ხმელეთის დიდი ნაწილია. მას ირგვლივ ოკეანეები და ზღვები აკრავს. დედამიწაზე ექვსი კონტინენტია: აზია, ევროპა, აფრიკა, ჩრდილოეთი ამერიკა, სამხრეთი ამერიკა, ანტარქტიდა, ავსტრალია.

ევრაზია ყველაზე დიდი კონტინენტია. იგი აერთიანებს ორ კონტინენტს – ევროპასა და აზიას.

ავსტრალია ყველაზე პატარა კონტინენტია.



	<b>კონტინენტი</b>	<b>ფართობი (მლნ კმ)</b>	<b>% ჯამში</b>
1.	ევრაზია	53,4	53,4
2.	აფრიკა	29,2	29,2
3.	ჩრდილოეთი ამერიკა	20,4	20,4
4.	სამხრეთი ამერიკა	18,3	18,3
5.	ანტარქტიდა	13,9	13,9
6.	ავსტრალია	7,6	7,6

**1.2. წაკითხული ტექსტისა და ცხრილის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს!**

1) რამდენი კონტინენტია დედამიწაზე?

.....

2) რა აკრავს ირგვლივ კონტინენტს?

.....

3) რომელია ყველაზე დიდი კონტინენტი?

.....

4) რომელია ყველაზე პატარა კონტინენტი?

.....

5) რამდენ კონტინენტს აერთიანებს ევრაზია?

.....

**2.1. წაკითხეთ ტექსტები!**



სტამბოლი



ანტალია





➤ **თურქეთი**

თურქეთის რესპუბლიკა ევრაზიის კონტინენტზე, ანატოლიის ნახევარკუნძულზე, მდებარეობს. მისი დედაქალაქია ანკარა. ქვეყნის სახელმწიფო ენა არის თურქული. მეზობელი სახელმწიფოებია: საქართველო, ბულგარეთი, საბერძნეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ირანი, ერაყი და სირია.

თურქეთში, სტამბოლში, არის მარმარილოს ზღვა, ჰატარ-ჰატარა კუნძულებით. თურქეთს ესაზღვრება შავი ზღვა, ხმელთაშუა ზღვა, ეგეოსის ზღვა. ცნობილი სრუტეებია: ბოსფორი და დარდანელი.

თურქეთის ტურისტული ადგილები: სტამბოლი, ანტალია, ბოდრუმი, ნევეშჰირი, დენიზლი და სხვა. ქვეყანაში კარგად არის განვითარებული კულტურა, ხელოვნება, სპორტი, ტურიზმი, მრეწველობა.



თბილისი



ბათუმი

➤ **საქართველო**

საქართველო ევრაზიის კონტინენტზე, შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის მდებარეობს. მისი დედაქალაქია თბილისი. საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული. მეზობელი სახელმწიფოებია: თურქეთი, რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი.

ქვეყნის ტურისტული რეგიონებია: აჭარა, კახეთი, სვანეთი, თუშეთი, ხევსურეთი. საქართველო მდიდარია მთისა და საზღვაო კურორტებით, მინერალური წყლებით, ტყეებით, ტბებით. მთა, ზღვა, ლამაზი ბუნება იზიდავს ტურისტებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან.

კულტურით, ხელოვნებით, სპორტითა და ტურიზმით გაიცნო მსოფლიომ საქართველო.



**2.2. წაკითხული ტექსტების მიხედვით აღნიშნეთ სწორი და არასწორი პასუხები (✓)!**

№		სწორია	არასწორია
1.	თურქეთი და საქართველო მეზობელი სახელმწიფოებია.	✓	
2.	საქართველო ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზეა.		
3.	რუსეთი თურქეთის მეზობელი სახელმწიფოა.		
4.	საქართველოს სახელმწიფო ენა ქართულია.		
5.	თურქეთის დედაქალაქი სტამბოლი არ არის.		
6.	საქართველოს დედაქალაქი თბილისია.		
7.	თურქეთი ტურისტული ქვეყანაა.		
8.	საქართველო ტურისტული ქვეყანაა.		

**★ რა იცით მსოფლიოს შესახებ?**

**მსოფლიოს ტურისტული და ბუნებრივი საოცრებები**  
 პირამიდები  
 ეიფელის კოშკი  
 მზის ქანდაკება ამერიკაში  
 კაბადოკია  
 ეფესოს ტაძარი  
 ჩინეთის კედელი  
 უდაბნო საჰარა  
 ევერესტის მთა  
 ვარძია  
 სათათულია...

**ოკეანეები, ზღვები**  
 ანტარქტიდის ოკეანე  
 ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე  
 ატლანტის ოკეანე  
 ინდოეთის ოკეანე  
 წყნარი ოკეანე  
 შავი ზღვა  
 ხმელთაშუა ზღვა  
 ეგეოსის ზღვა  
 მარმარილოს ზღვა  
 კასპიის ზღვა  
 წითელი ზღვა...



# მოსმენა და გაგება

1. მოისმინეთ ტექსტები და შეავსეთ ცხრილი! 



ანკარა



„ძველი თბილისი“

დედაქალაქი	მდებარეობა	მოსახლეობა	ჰავა
ანკარა			
თბილისი			

2. მოისმინეთ დიალოგი და უპასუხეთ შეკითხვებს! 

- 1) ნანას მთის კურორტები უფრო მოსწონს თუ ზღვისა?  
.....
- 2) სად ისვენებს შულე ზათხულში?  
.....
- 3) ნანა ბოდრუმში ბევრჯერ იყო?  
.....
- 4) სად წავლენ ერთად დასასვენებლად შულე და ნანა?  
.....





# საუბარი

## 1. წაიკითხეთ დიალოგი!



თურქეთი, კაბადოკია

### ➤ კაბადოკია

**ბექა:** ჰაღი, კაბადოკიის ნახვა მინდა.

**ჰაღი:** არ გინახავს? კაბადოკია საოცარია!

**ბექა:** კაბადოკია სურათებით ვიცი.

**ჰაღი:** იქ ვულკანური მთები და მიწისქვეშა ქალაქებია.

**ბექა:** მინდოდა გორემეს ჰარკიც მენახა.

**ჰაღი:** გორემეში მე ორჯერ ვიყავი.

**ბექა:** კაბადოკიაში რომელი ქალაქები შეიძლება ვნახო?

**ჰაღი:** ნევშეჰირი, კაისერი, ავანოსი.

**ბექა:** კაბადოკიაში აუცილებლად წავალ!



## 2. წაიკითხეთ ტექსტი!



### ➤ ვარძია

ვარძია კლდეში ნაკვეთი ძეგლია. იგი შეიქმნა XII-XIII საუკუნეებში, თამარ მეფის დროს. მაშინ ის იყო სამეფო სამონასტრო კომპლექსი.

ვარძია სამხრეთ საქართველოში, მდინარე მტკვრის ნაპირზე მდებარეობს. მის გარშემო ულამაზესი ბუნებაა.

ვარძიაში თამარ მეფის დროს იყო კლდეში გამოკვეთილი 365 ოთახი, დარბაზები, გვირაბები. ახლა იქ არის 242 გამოქვაბული ოთახი.

ვარძია ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლია.



საქართველო, ვარძია





### 3. მოცემული სიტყვების გამოყენებით ააგეთ მსგავსი დიალოგი და ტექსტი!

ეგვიპტე  
პირამიდები  
აქლემი  
უდაბნო  
ნახვა

ამერიკა  
ოკეანე  
მზის  
ქანდაკება  
გაფრენა

საფრანგეთი  
პარიზი  
ეიფელის  
კოშკი  
ზაფხული  
წასვლა

#### ❖ დაიმახსოვრეთ!

არ მინახავს. = არ მაქვს ნანახი.  
არ ვყოფილვარ. = არ ვარ ნამყოფი.  
ჯერ არ მინახავს. = ჯერ არ მაქვს ნანახი.  
ჯერ არ ვყოფილვარ. = ჯერ არ ვარ ნამყოფი.  
რამდენჯერ იყავი? = რამდენჯერ ხარ ნამყოფი?  
ბევრჯერ ვიყავი. = ბევრჯერ ვარ ნამყოფი.







# წერა

## 1. წაკითხეთ ტექსტი!



### დენიზლი

ომერი დენიზლიდან არის. დენიზლი სამხრეთ-დასავლეთ თურქეთში, ეგეოსის ზღვასთან მდებარეობს. იგი დიდი და ძალიან ლამაზი სამრეწველო ქალაქია. დენიზლის ახლოს ბევრი საინტერესო ადგილია. ულამაზესია ფამუქკალე, ქართულად – „ბამბის ციხე“. ფამუქკალე ცნობილია თერმული წყლებითა და ბამბასავით თეთრი მთებით. ყოველწლიურად აქ უამრავი ტურისტი ჩამოდის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

ომერს ძალიან უყვარს თავისი ქალაქი – დენიზლი.



**2. ტექსტის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს და დაწერეთ თემა „მე მიყვარს ჩემი ქალაქი“!**

- 1) რომელი ქალაქიდან არის ომერი?  
.....
- 2) სად მდებარეობს დენიზლი?  
.....
- 3) რას ნიშნავს ქართულად ფამუქვალე?  
.....
- 4) რით არის ცნობილი ფამუქვალე?  
.....
- 5) გინახავთ დენიზლი და ფამუქვალე?  
.....

**თემა „მე მიყვარს ჩემი ქალაქი“**

.....

.....

.....




.....

.....

.....



### 3. მიუწერეთ სურათებს შესაბამისი სიტყვები!



### 4. გადაიყვანეთ ზმნები სხვადასხვა დროში და წინადადებები ჩაწერეთ ცხრილში!

ახლანდელი დრო	მომავალი დრო	წარსული დრო
ჩემი ოჯახი ზაფხულში საქართველოში მიდის.		
	სპორტსმენები სტამბოლში გაფრინდებიან.	
<b>ის მსოფლიოს გარშემო მოგზაურობს.</b>	<b>ის მსოფლიოს გარშემო იმოგზაურებს.</b>	<b>მან მსოფლიოს გარშემო იმოგზაურა.</b>
მოსწავლეები თბილისში სუვენირებს ყიდულობენ.		
		ნიკამ შარშან ანტალიაში დაისვენა.

ანდაზა:

„ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი!“





# გრამატიკა

## 1. დროისა და რიგობა-ჯერობის გამოხატვა (ჯერ, სამჯერ...)

როდის?

რამდენჯერ?

მერამდენჯერ?

აიშე **ჯერ** მეცადინეობს.  
 ბექას კაბადოკია **ჯერ** არ უნახავს.  
**ჯერ** სკოლის არდადეგები არ  
 დანწყებულა.  
**ჯერ** ისწავლე, შემდეგ დაისვენე!

ფატმამ ეს ფილმი **ორჯერ** ნახა.  
 გუშინ **სამჯერ** დაგირეკე.  
 სტამბოლში **ბევრჯერ** ვარ ნამყოფი.  
 თბილისში **მეორეჯერ** მივდივარ.  
 ანკარაში **ერთხელ** ვიყავი.

**ორჯერ, სამჯერ, ათჯერ...** მაგრამ: **ერთხელ (ერთჯერ)**.  
**ორჯერ, სამჯერ, ათჯერ...** ვნახე, მაგრამ: **ერთხელ ვნახე (ერთჯერ ვნახე)**.  
 ორჯერ ორი ოთხია ( $2 \times 2 = 4$ ) — **ერთჯერ ორი ორია** ( $1 \times 2 = 2$ )  
**მეორეჯერ = მეორედ, მეთექვრმეჯერ = მეთექვრმედ...** მაგრამ: **პირველად**.  
**მეორეჯერ ვნახე = მეორედ ვნახე, მაგრამ: პირველად ვნახე.**

## 2. ვალდებულებისა და ნატვრა-სურვილის გამოხატვა (II შედეგობითი) – რა მექნა?

უნდა

ნეტავ

**დამენწრა**  
**მემოგზაურა**  
**მენახა**  
**ამელო**  
**გამეკეთებინა**  
**გავცნობოდი**  
**წავსულიყავი**

**ვნერ – დამენწრა**  
**ვმოგზაურობ – მემოგზაურა**  
**ვნახულობ – მენახა**  
**ვიღებ – ამელო**  
**ვაკეთებ – გამეკეთებინა**  
**ვეცნობი – გავცნობოდი**  
**მივდივარ – წავსულიყავი**

ეს საქმე აუცილებლად **უნდა** გაგეკეთებინა.  
 თურქეთის მნიშვნელოვანი ადგილები **უნდა** გენახათ.  
 ნიკა სალამოს თანაკლასელებს **უნდა** შეხვედროდა.  
 დღეს თვითმფრინავის ბილეთები არ **უნდა** აგელოთ?  
**ნეტავ, მსოფლიოს გარშემო მემოგზაურა!**  
**ნეტავ, ექსკურსიაზე ერთად წავსულიყავით!**  
**ნეტავ, მთაში დაგვესვენა!**



3. ზმნიზედა. ზმნიზედა თანდებულის მნიშვნელობით (სინონიმები: შორის = შუა...  
ანტონიმები: წინ ≠ უკან...)

... -ს + შორის =  
... -ს + შუა

თურქეთსა და საქართველოს შორის მეგობრობის ხილია. საქართველო მდებარეობს ორ ზღვას შორის (= შუა). სკოლასა და ბანკს შუა (=შორის) ოპერის თეატრია.

ირგვლივ = გარშემო

ირგვლივ მაღალი სახლებია. გარშემო ყველაფერი ლამაზია.

...-ის /...-ს + ირგვლივ =  
...-ის /...-ს + გარშემო

სკოლის ირგვლივ (= გარშემო) ბაღია. მსოფლიოს გარშემო მოგზაურობა მინდა.

წინ ≠ უკან

წინ წადით, უკან არ წახვიდეთ! ზევით სასტუმრო ოთახია, ქვევით – სამზარეულო.

...-ის /...-ს + წინ ≠  
...-ის /...-ს + უკან

სახლის წინ სკოლაა, სახლის უკან – მარკეტი. თეატრის წინ ბევრი ხალხი დგას, თეატრის უკან კი – მანქანები. ეზოს წინ ხეებია, ეზოს უკან – ტყე.



4. ზმნის ძირითადი ღროის ფორმები:

დასვენება			
	ახლანდ.	მომავ.	წარს.
მე	ვისვენებ	დავისვენებ	დავისვენე
შენ	ისვენებ	დაისვენებ	დაისვენე
ის	ისვენებს	დაისვენებს	დაისვენა <b>მან</b>
ჩვენ	ვისვენებთ	დავისვენებთ	დავისვენეთ
თქვენ	ისვენებთ	დაისვენებთ	დაისვენეთ
ისინი	ისვენებენ	დაისვენებენ	დაისვენეს <b>მათ</b>







# კროსვორდი

ჩანერეთ სამყაროს გამომხატველი სახელები!

							8													
																				მ
							3													ს
პ		წ		მ			ა			ღ										ვ
																				ფ
			გ	ა			ვ			ვ		ბ								ც
						ღ														ი
												ვ								ო
	ვ		ე		ნ	ე		ტ												ს
		ა																		
						რ	უ	კ	ა		ჩ									
		ბ																		
							ნ			ნ										ე
		ც													კ	ო	შ	კ		ი
	ს		ღ							ი		ქ								ფ
					ნ		ს		ვ		რ		უ		ძ					ე
																				ც
																				ი
							ტ													ს
							ი													

- პასუხები:** 1. მსოფლიოს რუკა 2. ნახევარკუნძული 3. ტბა 4. კუნძული  
 5. მდინარე 6. ოვეანე 7. კონტინენტი 8. ჩანჩქერი 9. მთა  
 10. ეიფელის კოშკი 11. ხიდი 12. უდაბნო 13. გამოქვაბული  
 14. პირამიდა 15. ზღვა



თავის ძირითადი სიტყვები და ფრაზები:

კონტინენტი  
სახელმწიფო  
კუნძული  
ნახევარკუნძული  
ხმელეთი  
უდაბნო  
პირამიდა  
ოკეანე  
ზღვა  
ტბა  
მდინარე  
ჩანჩქერი  
გამოქვაბული  
სრუტე  
საოცრება

ნახვა  
ფრენა  
დასვენება

ერთხელ  
გარშემო  
ირგვლივ  
ირგვლივ აკრავს  
ტურისტს იზიდავს  
ნამყოფი ვარ  
ნანახი მაქვს  
ქვეყნებს ესაზღვრება  
კონტინენტებს  
აერთიანებს



## თავი 6. როგორ მოვაგვაროთ პრობლემები?



- ✓ ჯანმრთელობის პრობლემები
- ✓ საყოფაცხოვრებო პრობლემები
- ✓ გარემოში ორიენტაცია
- ✓ გამგზავრებასთან დაკავშირებული პრობლემები
- ✓ დახმარების გაწევა
- ✓ შუალობითი კონტაქტი
- ✓ სტატიკური ზმნები (წერია, აცვია, ახურავს, ანთია...)
- ✓ ანტონიმური ზმნები (ანთება – ჩაქრობა, გაღება – დახურვა, სიცილი – ტირილი)
- ✓ ზმნები (მოგვარება, შიში, გაგებინება, ახსნა, შეტყობინება, ჩაქრობა, გაჭირვება, გაღება, დახურვა, სიცილი, ტირილი)
- ✓ თავაზიანი ფორმები (რა განუხებთ? რით შემოძლია დაგეხმაროთ? გმადლობთ დახმარებისთვის!..)
- ✓ ფრაზები (პრობლემის მოგვარება, პირველადი დახმარების გაწევა, გზის აბნევა, ექიმის / სასწრაფო დახმარების / ხელოსნის... გამოძახება, საათის / ლიფტის... შეკეთება, კარი ჩაეკეტა... დამეხმარეთ! / დახმარება მჭირდება! მიშველეთ! ფრთხილად! / ფრთხილად იყავი! ყურადღება! / ყურადღებით იყავი! ნუ გეშინია!)





1. მოსმინეთ სიტყვები! 

1. კბილის ტკივილი

2. შუქის ჩაქრობა

3. ლიფტის დაზიანება

4. ხანძარი

5. დაკარგვა

6. დაგვიანება


7. დახმარება

8. წაქცევა

9. კარის ჩაკეტვა

10. გადასასვლელზე

2. მოსმენილი სიტყვები მიუწერეთ შესაბამის სურათებს! 



3. გაიმეორეთ მოსმენილი სიტყვები! 



# კითხვა-გაგება

## 1.1. წაიკითხეთ ტექსტი!



### ➤ სონერმა დააგვიანა

სონერი წარმატებული მოსწავლეა. ის გუშინ საინტერესო წიგნს კითხულობდა, გვიან დაიძინა, ამიტომ დილით გვიან ადგა, ისაუბმა, სახლიდანაც გვიან გავიდა და სკოლის ავტობუსს ვერ მიუსწრო, დააგვიანა. ხუთი წუთი კლასის კართან იდგა. შემდეგ კარზე დააკაკუნა და მასწავლებლის ნებართვით საკლასო ოთახში შევიდა. მასწავლებელმა ჰკითხა, რატომ დააგვიანეო. სონერმა სიმართლე უთხრა. მასწავლებელმა გაიღიმა და სონერი გააფრთხილა: მეორედ არ დააგვიანო!







1.2. წაკითხული ტექსტის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს!

1) როგორი მოსწავლეა სონერი?  
.....

2) როდის დაიძინა სონერმა?  
.....

3) რატომ დააგვიანა სონერმა?  
.....

4) რა უთხრა სონერმა მასწავლებელს?  
.....

5) როგორ გააფრთხილა მასწავლებელმა სონერი?  
.....

1.3. ჩამოთვალეთ, რა პრობლემების გამო დააგვიანა სონერმა სკოლაში!

1) .....

2) .....

3) .....

4) .....

5) .....

2.1. წაკითხეთ დიალოგები!

➤ **ეჭიმთან**  
 აიშე: სემრა, რა განუხებს?  
 სემრა: კბილი მტკივა. არ ვიცი, რა ვენა!  
 აიშე: სკოლის ეჭიმთან მივიდეთ!  
 სემრა: კი, მაგრამ მეშინია!  
 აიშე: ნუ გეშინია, ეჭიმი დაგეხმარება.  
 სემრა: კარგი, წავიდე! მადლობა!







➤ **ლიფტში**

**ნიკა:** მამა, ლიფტში ვარ, შუქი ჩაქრა, შენი დახმარება მჭირდება.

**მამა:** ნიკა, საავადმყოფოში ვართ, ლია წაიქცა და ფეხი სტკივა.

**ნიკა:** მე რა ვქნა, სად დავრეკო?

**მამა:** ტელეფონის ნომრები ლიფტის კედელზე წერია, დარეკე!

**ნიკა:** კარგი, ახლავ დავრეკავ.

➤ **შულე დაიკარგა**

**ბილალი:** ბატონო, ეს ბავშვი დაიკარგა, ტირის.

**პოლიციელი:** რა გქვია, რატომ ტირი?

**შულე:** მე შულე ვარ, დედასთან მინდა!

**პოლიციელი:** დედა სად არის?

**შულე:** დედა იქ არის, სუპერმარკეტში.

**პოლიციელი:** არ იტირო, წავიდეთ დედასთან!

**შულე:** აი, დედა!

**დედა:** მადლობა ყველას დახმარებისთვის!



2.2. **წაკითხული დიალოგების მიხედვით შეავსეთ ცხრილი!**

ვის რა პრობლემები აქვს?	
სემრა	
ნიკა	
ლია	
შულე	

★ **როგორ მოვიქცეთ?**

გამოიძახეთ სასწრაფო დახმარების მანქანა!

გამოიძახეთ პოლიცია!..

მიმართეთ პოლიციას!..

დარეკეთ ცხელ ხაზზე!

დარეკეთ მომსახურების ცენტრში!

მიმართეთ ექიმს!



# მოსმენა და გაგება

1. მოისმინეთ წინადადებები და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები!



- 1) ტკივილის დროს .....
- 2) ხანძრის დროს .....
- 3) დახმარებისთვის .....
- 4) ლიფტის დაზიანებისას .....

2. მოისმინეთ ტექსტი და აღნიშნეთ სწორი პასუხები (✓)!







1. დენიზი არის:

ა. მეექვსე კლასის მოსწავლე

ბ. მეშვიდე კლასის მოსწავლე

2. დენიზი სკოლაში ვერ დადის

ა. ავადმყოფობის გამო

ბ. შეჯიბრების გამო

3. დენიზს მასწავლებლები

ა. გაკვეთილებს უხსნიან

ბ. დავალებებს აწერინებენ

4. დენიზს თანაკლასელები

ა. გაკვეთილებს უხსნიან

ბ. დავალებებს აწერინებენ







# საუბარი

## 1. წაიკითხეთ ღიალოგები!



### ➤ როგორ მივიღეთ?

**ანა:** ბავშვებო, სად ვართ?

**ფატმა:** მგონი, გზა აგვებნა!

**ალი:** ამ მისამართზე როგორ უნდა მივიღეთ?

**ანა:** მოდი, ვინმეს ვკითხოთ!

**ფატმა:** ბოდიში, ქალბატონო, მეათე სკოლასთან როგორ მივალთ?

**ქალბატონი:** იქამდე №2 და №8 ავტობუსები მიდიან.

**ფატმა:** დიდი მადლობა დახმარებისთვის!

### ➤ გადასასვლელზე

**მეჰმედი:** ზაფერ, მოხუცი გადასასვლელზე ვერ გადადის.  
**ზაფერი:** მძიმე ჩანთაც უჭირავს. დავეხმაროთ!

**მეჰმედი:** ქალბატონო, მოგვეცით ჩანთა, დავეხმარებით!

**მოხუცი:** ჩანთა ძალიან მძიმეა, ბავშვებო!

**ზაფერი:** არა უშავს, ორნი ვართ. წავიდეთ!

**მოხუცი:** ბავშვებო, დიდი მადლობა!



## 2. მოცემული სიტყვებით ააგეთ მსგავსი დიალოგები!

შუქი  
მწვანე  
გადასასვლელი  
ანთია

სახლი  
ბუნებრივი აირი  
დარეკვა  
გათიშულია

კარი  
გასაღები  
ბაფუჩი  
ჩაკეტილია

★ ნივთები

ჩემოდანი  
ზურგჩანთა  
კბილის ჯაგრისი  
ღრუბელი  
სუნამო  
ხალათი  
პირსახოცი

## 3. გამოიყენეთ ზმნები და ისაუბრეთ, როგორ მოაგვარებთ პრობლემებს!

- 1) როცა რაიმე გტკივთ?
- 2) როცა უმწეო აღამიანს დახმარება სჭირდება?
- 3) როცა რაიმეს ვერ იგებთ?
- 4) როცა უცხო გარემოში ხართ?
- 5) როცა გეშინიათ?

გამოვიძახებ  
დავრეკავ  
შევეკითხები  
მივმართავ  
დავეხმარები  
ვთხოვ



❖ დამახსოვრეთ! ↓

ფრთხილად! ყურადღებით!

**წითელი ფერი = გაჩერდით!**

**ყვითელი ფერი = მოემზადეთ!**


**მწვანე ფერი = გადადით!**





# წერა

## 1. მიუწერეთ სურათებს შესაბამისი სიტუაციის ამსახველი სიტყვები!



## 2. წაკითხეთ ტექსტი!

### ➤ ქველმოქმედება

ზოგიერთ ბავშვს ბევრი პრობლემა აქვს: ზოგი ავადაა, ზოგს თბილად არ აცვია და არ ახურავს, ზოგის ოჯახი ღარიბია, მშობლები არ მუშაობენ. ასეთი ბავშვების დასახმარებლად მასწავლებელმა მეშვიდე კლასის მოსწავლეებს საქველმოქმედო კონცერტი გაამართვინა. კონცერტს ესწრებოდნენ ცნობილი ადამიანები, ბიზნესმენები. შემოსული თანხა ბავშვთა დახმარების ფონდში გადაირიცხა.





3. წაკითხული ტექსტის მიხედვით ააგეთ დიალოგი!

ა: .....

ბ: .....

ა: .....

ბ: .....

ა: .....

ბ: .....

ა: .....

ბ: .....

4. დააკავშირეთ!


ხანძარი	დახმარება
ტკივილი	ტრანსპორტი
დაკარგვა	ეჭიმი
დაგვიანება	პოლიცია
გადასვლა	სახანძრო მანქანა

ანდაზა: „სიფრთხილეს თავი არ სტკივალ!“



# გრამატიკა

## 1. შუალობითი კონტაქტი (-ინ, -ევინ)



## 2. ანტონიმური ზმნები (ანთება – ჩაქრობა, გაღება – დახურვა, სიცილი – ტირილი)

<p><b>ანთება ≠ ჩაქრობა</b>  <b>აანთო ≠ ჩააქრო</b>  <b>გაღება ≠ დახურვა</b>  <b>გააღო ≠ დახურა</b>  <b>სიცილი ≠ ტირილი</b>  <b>იციინის ≠ ტირის</b></p>	<p>ღამით ქუჩებში შუქს ანთებენ და დღისით აქრობენ.          ფატმამ დაბადების დღის ტორტზე სანთლები აანთო, აიშემ კი ჩააქრო.          კარი გავაღე, მაგრამ ქარმა დახურა.          შადი, დახურე კარი!          პატარა ბავშვი ხან იციინის, ხან ტირის.</p>
---	---



3. სტატისტიკური ზმნები (აცვია, ახურავს, ანთია...)

მოქმედების პროცესი (დინამიკა)	მოქმედების შედეგი (სტატიკა)
წერს	წერია
ანთებს	ანთია
იცვამს	აცვია
იხურავს	ახურავს
იკეთებს	უკეთია
ყრის	ყრია

4. ზმნის ძირითადი ღროის ფორმები:

მოგვარება			
	ახლანდ.	მომავ.	წარს.
მე	ვაგვარებ	მოვაგვარებ	მოვაგვარე
შენ	აგვარებ	მოაგვარებ	მოაგვარე
ის	აგვარებს	მოაგვარებს	მოაგვარა <b>მან</b>
ჩვენ	ვაგვარებთ	მოვაგვარებთ	მოვაგვარეთ
თქვენ	აგვარებთ	მოაგვარებთ	მოაგვარეთ
ისინი	აგვარებენ	მოაგვარებენ	მოაგვარეს <b>მათ</b>







## თავი 7. საკომუნიკაციო საშუალებები

- ✓ ტელეფონი
- ✓ ინტერნეტი
- ✓ საინფორმაციო საშუალებები
- ✓ პრეზენტაცია
- ✓ ინტერვიუ
- ✓ წერილი
- ✓ პირობითობა-შედეგობითობის გამოხატვა (II შედეგობითი)
- ✓ კავშირი (რაც, რომელიც)
- ✓ ზმნები (გამოყენება, გამოგონება, სარგებლობა, დაკავშირება...)
- ✓ ფრაზები (ფოტოსურათის გადაღება, ინტერვიუს აღება, ზარი განხორციელდა)







1. მოისმინეთ სიტყვები! 

1. ტელეფონი

6. ჟურნალი

2. მობილური ტელეფონი

7. გაზეთი

3. ტელევიზორი

8. მიკროფონი


4. კომპიუტერი

9. თოტორეპორტიორი

5. რადიო

10. პრეზენტაცია

2. მოსმენილი სიტყვები მიუწერეთ შესაბამის სურათებს! 



3. გაიმეორეთ მოსმენილი სიტყვები! 





# კითხვა-გაგება

## 1.1. წაიკითხეთ ტექსტი!



### ➤ ტელეფონი

ტელეფონი ყველაზე მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო საშუალებაა. იგი გამოიგონეს მეცხრამეტე საუკუნეში. პირველი სატელეფონო საუბარი იყო 1876 წელს. თანამედროვე ტიპის ტელეფონის აპარატი შეიქმნა 1930 წელს.

მობილური ტელეფონით პირველი ზარი განხორციელდა 1973 წელს. პირველი მობილური ტელეფონი გასაყიდად გამოვიდა 1983 წელს. დღეს სხვადასხვა მოდელის მობილური ტელეფონით სარგებლობს ყველა – დიდი და პატარა. ადამიანები ერთმანეთს ტელეფონით უკავშირდებიან.



**1.2. წაკითხული ტექსტის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს!**

- 1) რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო საშუალება?  
.....
- 2) როდის გამოიგონეს ტელეფონი?  
.....
- 3) როდის შეიქმნა პირველი თანამედროვე ტიპის ტელეფონის აპარატი?  
.....
- 4) როდის განხორციელდა მობილური ტელეფონით პირველი ზარი?  
.....
- 5) როდის გამოვიდა პირველი მობილური ტელეფონი გასაყიდად?  
.....
- 6) რით უკავშირდებიან ადამიანები ერთმანეთს?  
.....

**1.3. წაკითხეთ დიალოგი!**

ნაჯი: ბექა, რომელი მოდელის ტელეფონი მოგწონს?  
ბექა: მე „სამსუნგის“ ფირმის ტელეფონი მომწონს. შენ?  
ნაჯი: მე „გალაქსი“ და „აიფონი“ უფრო მომწონს.  
ბექა: ტელეფონში ინტერნეტი გაქვს?  
ნაჯი: დიახ, ინტერნეტი მაქვს, სულ მჭირდება.  
ბექა: ინტერნეტში ბევრი საინტერესო ინფორმაციაა.  
ნაჯი: მომწერე შენი ელექტრონული ფოსტის მისამართი.  
ბექა: კარგი, მოგწერ.



1.4. ნაკითხული დიალოგის მიხედვით აღნიშნეთ სწორი და არასწორი პასუხები (✓)!

№		სწორია	არასწორია
1.	ბეჭას „სამსუნგის“ ფირმის ტელეფონი მოსწონს.	✓	
2.	ნაჭის „გალაქსი“ და „ნოკია“ მოსწონს.		
3.	ნაჭის ტელეფონში ინტერნეტი არ აქვს.		
4.	ინტერნეტში საინტერესო ინფორმაციებია.		
5.	ბეჭას ელექტრონული ფოსტა აქვს.		

2.1. ნაკითხეთ ტექსტი!

➤ კომპიუტერი

კომპიუტერი ინგლისური სიტყვაა და „გამომთვლელს“ ნიშნავს. იგი შეიქმნა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში. კომპიუტერის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა ინფორმაციის სწრაფად გადაცემა. კომპიუტერი მუშაობს ადამიანის მიერ შედგენილი პროგრამით.

კომპიუტერი არის სხვადასხვა ზომისა და მოდელისა: სამაგიდო კომპიუტერი, პორტატული კომპიუტერი, ნოუთბუქი (ლეპტოპი), პლანშეტური კომპიუტერი (პლანშეტი).

2.2. ნაკითხული ტექსტის მიხედვით დასვით შეკითხვები!

- 1) .....  
კომპიუტერი ინგლისური სიტყვაა.
- 2) .....  
კომპიუტერი „გამომთვლელს“ ნიშნავს.
- 3) .....  
ინფორმაციის სწრაფად გადაცემის საშუალებაა.
- 4) .....  
კომპიუტერი მუშაობს ადამიანის მიერ შედგენილი პროგრამით.
- 5) .....  
კომპიუტერი არის სხვადასხვა ზომისა და მოდელისა.





### 2.3. წაიკითხეთ დიალოგი!



➤ სატელეფონო საუბარი

ზეჰრა: ალო, ნანა ხარ?

ნანა: მე ვარ, ზეჰრა, გამარჯობა! როგორ ხარ?

ზეჰრა: გაგიმარჯოს. გმადლობ, კარგად. შენ?

ნანა: მეც კარგად ვარ. რა არის ახალი?

ზეჰრა: საინტერესო ინფორმაცია მაქვს.

ნანა: რა მოხდა?

ზეჰრა: ახლა ინტერნეტში ვნახე, ჩვენი სკოლის გუნდმა გაიმარჯვა.

ნანა: საჭადრაკო ტურნირში? რა კარგია!

ზეჰრა: მეც ძალიან მიხარია!

### 2.4. უპასუხეთ შეკითხვებს!

ა: ვის ურევავს ზეჰრა?

ბ: ზეჰრა .....

ა: რა ინფორმაცია აქვს ზეჰრას?

ბ: სკოლის გუნდმა.....

ა: რაში გაიმარჯვა გუნდმა?

ბ: გუნდმა .....

ა: სად წაიკითხა ახალი ინფორმაცია ზეჰრამ?


ბ: ზეჰრამ ახალი ინფორმაცია .....



# მოსმენა და გაგება

1. მოისმინეთ ტექსტი და შეავსეთ ცხრილი! 

დრო	სატელევიზიო გადაცემა
9.00	დილის საინფორმაციო გამოშვება
10.00	
10.30	
12.00	
13.00	
14.00	
15.00	
15.30	
17.00	
18.30	
20.00	



2. მოისმინეთ ინტერვიუ და უპასუხეთ შეკითხვებს! 



- 1) როგორი მოსწავლეა დენიზი?  
.....
- 2) როგორ აღწევს წარმატებას დენიზი?  
.....
- 3) დენიზს იურისტობა უნდა?  
.....
- 4) რომელი პროფესია მოსწონს დენიზს?  
.....



# საუბარი

## 1. წაიკითხეთ დიალოგი!



**ირაკლი:** სონერ, სოციალური ქსელებით სარგებლობ?

**სონერი :** დიახ, სოციალური ქსელებით ხშირად ვსარგებლობ.

**ირაკლი:** შეტყობინებებს კითხულობ?

**სონერი :** შეტყობინებებს ვკითხულობ და მეგობრებსაც ვუგზავნი. შენ?

**ირაკლი:** მე უფრო სატელეფონო შეტყობინებებს ვიყენებ.

**სონერი :** ტექსტური შეტყობინებით ყველა სარგებლობს, რაც დღეს ძალიან მნიშვნელოვანია.

**ირაკლი:** კი, ასეა.

## 2. მოცემული სიტყვებით ააგეთ მსგავსი დიალოგები!

ინტერნეტი  
კომენტარი  
პასუხი  
წაკითხვა

რადიო  
ამბები  
ახალი  
მოსმენა

ტელევიზია  
საინტერესო  
რეკლამა  
ყურება






### 3. წაიკითხეთ საგაზეთო რეკლამები!



**ყურადღება!**  
საგაჭრო ცენტრი გინწვევთ  
საყოფაცხოვრებო ტექნიკის  
გამოფენა-გაყიდვაზე!



**ყურადღება!**  
20 ივლისიდან 20 აგვისტომდე  
სპორტულ ტანსაცმელსა და  
ფეხსაცმელზე საზაფხულო  
ფასდაკლებაა!

### 4. შეადგინეთ მსგავსი რეკლამები და ისაუბრეთ!

.....  
.....  
.....

.....  
.....  
.....

.....  
.....  
.....




# წერა

## 1. წაიკითხეთ ტექსტი!

### ფატმას ოჯახში

საკომუნიკაციო საშუალებებით ყველა სარგებლობს. ბაბუა და ბებია გაზეთს კითხულობენ. მამა საინფორმაციო გადაცემებს უსმენს. დედა ინტერნეტით ახალ ამბებს იგებს, კითხულობს კომენტარებს, რომლებიც სოციალურ ქსელებში იწერება. ფატმას ძმა მეგობრებს მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს უგზავნის. ფატმას წიგნების კითხვა და ტელევიზორში გასართობი პროგრამების ყურება უფრო უყვარს.



## 2. ტექსტის მიხედვით ჩაწერეთ, ვინ რომელი საკომუნიკაციო საშუალებით სარგებლობს!

- ბაბუა .....
- ბებია .....
- მამა .....
- დედა .....
- ძმა .....
- ფატმა .....



**3. დაწერეთ მოკლე ტექსტური შეტყობინება (SMS) და გაუგზავნეთ მეგობარს!**

.....  
.....  
.....  
.....

**4. წაიკითხეთ წერილი!**

**წერილი დედას**

გამარჯობა, დედა!

როგორა ხართ? მე კარგად ვარ, გახარებული ვარ. გუშინ სკოლაში პრეზენტაცია მეჩონდა, რომელიც ძალიან საინტერესო გამოვიდა. ჩემს მასწავლებლებსა და თანაკლასელებს საქართველოს ბუნება, კუთხეები, ტრადიციები და კულტურა გავაცანი, სურათებიც ვაჩვენე, რაც ყველას ძალიან მოეწონა. მალე არდადეგები დაინწყება და ჩამოვალ. მოკითხვა ყველას! შეხვედრამდე!

შენი ანა



**5. მოცემული სიტყვების გამოყენებით დაწერეთ მსგავსი წერილი მეგობრისათვის!**

ყოფნა, ქონა, სიხარული, დამთავრება, წასვლა, დასვენება, გატარება, ზაფხული, ოჯახი, მშობლები, ზღვა, მთა, სკოლა...

.....  
.....  
.....  
.....  
.....  
.....





# გრამატიკა

## 1. კავშირი (რაც, რომელიც)

რაც < რა+ც

რომელიც < რომელი+ც

ის დავწერე, **რაც** მოვისმინე.  
**რაც** გითხარი, დაიმახსოვრე!  
 ის ტელეფონი ვიყიდე, **რომელიც** მომწონდა.  
 ახლა ვეტყვი ამბავს, **რომელიც** ინტერნეტში წავიკითხე.  
 აიშე, **რომელიც** ტელევიზიაში მუშაობს, ანკარელია.

## 2. პირობითობა-შედეგობითობის გამოხატვა (II შედეგობითი):

რომ

**მესარგებლა**  
**დამეწერა**  
**წამეკითხა**  
**გამეგზავნა**  
**დამენახა**  
**მომესმინა**

ამ ტელეფონით **რომ** მესარგებლა, კარგი იქნებოდა.  
 შენი შეტყობინება **რომ** წამეკითხა, მოგწერდი.  
 წერილი **რომ** გამეგზავნა, დედა ჩამოვიდოდა.  
 წითელი შუქი **რომ** დამენახა, გადასასვლელზე გადახვიდოდი?



3. ზმნის ძირითადი დროის ფორმები:

სარგებლობა			
	ახლანდ.	მომავ.	წარს.
მე	ვსარგებლობ	ვისარგებლებ	ვისარგებლე
შენ	სარგებლობ	ისარგებლებ	ისარგებლე
ის	სარგებლობს	ისარგებლებს	ისარგებლა <b>მან</b>
ჩვენ	ვსარგებლობთ	ვისარგებლებთ	ვისარგებლეთ
თქვენ	სარგებლობთ	ისარგებლებთ	ისარგებლეთ
ისინი	სარგებლობენ	ისარგებლებენ	ისარგებლეს <b>მათ</b>

დაკავშირება			
	ახლანდ.	მომავ.	წარს.
მე	ვუკავშირდები	დავუკავშირდები	დავუკავშირდი
შენ	უკავშირდები	დაუკავშირდები	დაუკავშირდი
ის	უკავშირდება	დაუკავშირდება	დაუკავშირდა
ჩვენ	ვუკავშირდებით	დავუკავშირდებით	დავუკავშირდით
თქვენ	უკავშირდებით	დაუკავშირდებით	დაუკავშირდით
ისინი	უკავშირდებიან	დაუკავშირდებიან	დაუკავშირდნენ



# კროსვორდი

ჩანერეთ საკომუნიკაციო საშუალებათა სახელები!

		კ										
	კ	ო	მ	უ	ნ	ი	კ	ა	ც	ი	ა	
												ტ
		პ		ე		ა		ნ				
										ტ		ლ
		უ				ნ		ლ				
	ნ		ე		ნ		ტ			ლ		ვ
		ე						ვ				
შ			ნ		ლ					ფ		ზ
		ი				ლ		პ			პ	
										ნ		ა

## პასუხები:

1. კომუნიკაცია
2. ლეპტოპი
3. ჟურნალი
4. ტელევიზია
5. პრესა
6. კომპიუტერი
7. რადიო
8. წერილი
9. ინტერნეტი
10. ტელეფონი

თავის ძირითადი სიტყვები და ფრაზები:

კომუნიკაცია  
 საშუალებები  
 ინტერნეტი  
 ტელევიზია  
 პრესა  
 მოდელი  
 ერთ-ერთი  
 საყოფაცხოვრებო  
 ტექნიკა  
 ნოუთბუქი  
 კომენტარი  
 ფუნქცია  
 პერსონალური

სარგებლობა  
 გამოყენება  
 შეტყობინება  
 დაკავშირება  
 გამოგონება

ზარის  
 განხორციელება  
 ფოტოსურათის  
 გადაღება  
 ინტერვიუს აღება  
 ტექსტური  
 შეტყობინება  
 საინფორმაციო  
 საშუალებები





## თავი 8. ჩვევები



- ✓ ჩვევები
- ✓ დადებითი ჩვევები
- ✓ უარყოფითი ჩვევები
- ✓ ნაწილაკი (ნუ)
- ✓ წარმოქმნილი სახელები (-იან, უ-ო, -ობა, სი-ე)
- ✓ სინონიმები და ანტონიმები
- ✓ ზმნები (მიჩვევა, ცრუობა, ჩხუბი, ჭორაობა)
- ✓ თრაზები (არ შეიძლება! ჩვევები ახასიათებს, სიზარმაცეს... მიეჩვია, შენიშვნის მიცემა)





1. მოისმინეთ სიტყვები! 

1. თრჩხილების კვნეტა

2. სიზარმაცე

3. წესრიგი

4. ვარჯიში


5. კბილების გამოხეხვა


6. უყურადღებობა

7. ჯანსაღი კვება

8. წივნის კითხვა

2. მოსმენილი სიტყვები მიუწერეთ შესაბამის სურათებს! 




3. გაიმეორეთ მოსმენილი სიტყვები! 





# კითხვა-გაგება

## 1.1. წაიკითხეთ ტექსტები!



➤ **მერიემის თვისებები**

მერიემი ნიჭიერი და წარმატებული მოსწავლეა. ის ყველას უყვარს, იმიტომ რომ მოწესრიგებული, ბეჯითი, გულიანი დამეგობრული გოგონაა. თანაკლასელებს სულ ეხმარება.

მერიემისგან ყოველთვის მხოლოდ დადებითი ემოცია მოდის.

➤ **ბექას ჩვევები**

ბექას მათემატიკაში განსაკუთრებული უნარი აქვს. იგი მონაწილეობს ოლიმპიადებში და წარმატებებსაც აღწევს.

სამწუხაროდ, ბექას ერთი უარყოფითი ჩვევა აქვს: საზოგადოებაში ხმა-მალლა ლაპარაკობს, რის გამოც შენიშვნებს აძლევენ.





**1.2. ნაკითხული ტექსტების მიხედვით აღნიშნეთ სწორი პასუხები (✓)!**

ა. მერიემი მონესრიგებული მოსწავლეა.

ბ. მერიემი ბეჯითი არ არის.

ა. მერიემი თანაკლასელებს ეხმარება.

ბ. მერიემი თანაკლასელებს არ ეხმარება.

ა. ბექას ფიზიკაში განსაკუთრებული უნარი აქვს.

ბ. ბექას მათემატიკაში განსაკუთრებული უნარი აქვს.

ა. ბექა საზოგადოებაში ხმამაღლა ლაპარაკობს.

ბ. ბექა საზოგადოებაში ხმამაღლა არ ლაპარაკობს.

**1.3. ჩამოთვალეთ მერიემისა და ბექას ჩვევები!**

მერიემი არის: .....


.....

ბექა არის: .....

.....



## 2.1. წაკითხეთ დიალოგი!



**მასწავლებელი:** ბავშვებო, მოგეწონათ მოთხრობა?

**მოსწავლე 1:** მოთხრობა კარგი იყო, მაგრამ ზოგიერთი ბავშვის ჩვევები არ მომეწონა.

**მოსწავლე 2:** მეც არ მომეწონა მატყუარა ბავშვი.

**მოსწავლე 3:** მე არც ჯონის უყურადღებობა მომეწონა.

**მასწავლებელი:** მართალია, მაგრამ ჯონი კეთილიც არის.

**მოსწავლე 4:** ჯენი მოგეწონათ? ბევრი ლაპარაკი იცის!

**მოსწავლე 1:** ბევრს ლაპარაკობს და ხმამაღლა იცინის.

**მოსწავლე 2:** მე ყველაზე მეტად ტომასი მომეწონა. ის ყოველთვის სიმართლეს ამბობს.

**მოსწავლე 3:** თან წიგნების კითხვა და ჯანსაღი კვება უყვარს.

**მასწავლებელი:** ყოჩაღ, ბავშვებო, მოთხრობა კარგად გავგივით!



2.2. დიალოგის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს:

- 1) მოსწავლეებს მოეწონათ მოთხრობა?  
.....
- 2) როგორი ბავშვია ჯონი?  
.....
- 3) რა ჩვევები ახასიათებს ჯენის?  
.....
- 4) რა ჩვევები ახასიათებს ტომასს?  
.....
- 5) ბავშვებმა მოთხრობა კარგად გაიგეს?  
.....

★ რა ჩვევები ახასიათებს ადამიანს?

**დადებითი**  
 წესრიგის დაცვა  
 ბეჭითი  
 ყურადღებიანი  
 სიმართლის თქმა  
 წიგნის კითხვა  
 ვარჯიში  
 ჯანსაღი კვება...

**უარყოფითი**

<del>სიცრუე</del>	<del>უყურადღებობა</del>
<del>სიზარმაცე</del>	<del>ხმამალლა ლაპარაკი</del>
<del>დაგვიანება</del>	<del>ფრჩხილების კვნეტა</del>
<del>დაცინვა</del>	<del>არაჯანსაღი კვება</del>
<del>უნესრიგობა</del>	<del>სიგარეტის მოწევა</del>
<del>ქურდობა</del>	<del>საზოგადოებაში ჩურჩული</del>
<del>ჭორაობა</del>	<del>ალკოჰოლიანი სასმელების</del>
<del>ჩხუბი</del>	<del>მიღება...</del>





# მოსმენა და გაგება

1. მოისმინეთ წინადადებები და მიუწერეთ შესაბამის სურათებს!



1.



2.



3.



4.



5.

2. მოისმინეთ ტექსტი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები!



- 1) ნიკა და ბექა.....არიათ, მაგრამ ისინი..... ერთმანეთისგან.
- 2) ნიკა ბეჭითი და .....
- 3) ბექა ..... და დაუდევარი.
- 4) ნიკას სიმართლის თქმა ....., ბექა .....
- 5) ნიკას ..... არ უყვარს. იგი ყოველ დღით .....,  
ბექა კი სულ .....



3. მოსმენილი ტექსტის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს!



1) ნიკა და ბექა განსხვავდებიან ერთმანეთისგან?

.....

2) ნიკაა ყურადღებიანი თუ ბექა?

.....

3) ბექაა ბეჯითი თუ ნიკა?

.....

4) ნიკას უყვარს სიმართლის თქმა თუ ბექას?

.....

5) ბექა იგვიანებს თუ ნიკა?

.....





# საუბარი

## 1. წაიკითხეთ დიალოგი!



დენიზი : ზაფერ, რომელია ყველაზე ცუდი ჩვევა?  
 ზაფერი : სიგარეტის მოწვევა და სიცრუე. შენთვის?  
 დენიზი : ჩემთვის ორივე მიუღებელია!  
 ზაფერი : ჩხუბი და დაცინვაც ძალიან ცუდია.  
 დენიზი : მეც ასე ვფიქრობ.

## 2. მოცემული სიტყვებით ააგეთ მსგავსი დიალოგები!

უნესრიგობა  
 დავვიანება  
 უყურადღებობა  
 ხმაურით ჭამა

სიცრუე  
 სიზარმაცე  
 ჭორაობა  
 კამათი

საზოგადოებაში  
 ჩურჩული  
 ხმამალლალაპარაკი  
 არაჯანსაღი კვება  
 ფრჩხილების კვნეტა





### 3. წაიკითხეთ ტექსტები!



ეს არის დავითი. იგი ნიჭიერი და ყურადღებიანი მოსწავლეა. მას უყვარს დილით ადრე ადგომა, ვარჯიში და ჯანსაღი კვება.

ეს ფატმაა. იგი ბეჭითი, წარმატებული და ფრთხილი გოგონაა. ფატმას უყვარს საინტერესო წიგნების კითხვა, სიმუსტე და წესრიგი.




### 4. ისაუბრეთ, რა ჩვევები გახასიათებთ თქვენ!

❖ დაიმახსოვრეთ!

#### არ შეიძლება!

ჩხუბი  
სიცრუე  
დაცინვა  
ჭორაობა  
ხმაური  
დაგვიანება  
ხმაურით ჭამა  
საზოგადოებაში  
ჩურჩული  
ფრჩხილების  
კვნეტა...



ჩხუბებ!  
იცრუებ!  
დასცინებ!  
იჭორავებ!  
იხმაურებ!  
**ნუ** დააგვიანებ!  
შეჭამ ხმაურით!  
იჩურჩულებ  
საზოგადოებაში!  
მოიკვნეტ  
ფრჩხილებს!



# წერა

## 1. წაკითხეთ დიალოგი!

ა: რა დადებითი ჩვევები ახასიათებს ადამიანს?

ბ: ადამიანს ახასიათებს: შრომისმოყვარეობა, მონესრიგებულობა, სიბუსტე, ყურადღებიანობა, სიმართლის თქმა, სიფრთხილე...

ა: ყველაზე მეტად რომელი უარყოფითი ჩვევა არ მოგწონთ ადამიანში?

ბ: არ მომწონს, მოწვევა, სასმელების მიღება, ჩხუბი, ჭორაობა, სიზარმაცე, დაცინვა...

ა: რომელი დადებითი ჩვევები მოგწონთ ყველაზე მეტად?

ბ: ყველაზე მეტად მომწონს სიმართლის თქმა, მონესრიგებულობა, ბეჭითობა და ჯანსაღი კვება.

ა: რას ნიშნავს ჯანსაღი კვება?

ბ: ჯანსაღი კვება ნიშნავს სწორი კვების რეჟიმს.

## 2. წაკითხული დიალოგის გამოყენებით დაწერეთ თემა „ადამიანის ჩვევები“!

**ნიმუში: ადამიანს ახასიათებს დადებითი და უარყოფითი ჩვევები.**

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....



3. დააკავშირეთ სიტყვები და შესაბამისი ზმნები!

სიცრუე	კამათობს
სიზარმაცე	იცინის
დაგვიანება	ჭორაობს
ჩხუბი	ზარმაცობს
კამათი	ცრუობს
ჭორაობა	ჩხუბობს
სიცილი	ავგვიანებს

4. მოცემული სიტყვები ჩასვით სწორი ფორმით წინადადებებში!

**წიმუში:** 1) ბავშვებში სიგარეტის მოწევა აკრძალულია.

- 2) ცუდი ჩვევაა .....
- 3) ..... ადამიანისთვის სასარგებლოა.
- 4) სონერი ყოველ დილით .....
- 5) სიცრუე და ..... არ მომწონს.
- 6) ზარმაცი მოსწავლე სკოლაში ხშირად .....
- 7) ..... კარგი ჩვევაა.
- 8) წარმატებისთვის აუცილებელია .....

სიგარეტის მოწევა  
საზოგადოებაში  
ჩურჩული  
დაგვიანება  
დაცინვა  
სიფრთხილე  
ვარჯიში  
ჯანსაღი კვება  
სიცრუე  
ბეჭითობა

ანდაზა:

„ტყუილს მოკლე ფეხები  
აქვსო!“






# გრამატიკა

1. ნაწილაკი (ნუ) →

თხოვნა




სკოლაში ნუ დააგვიანებ!  
 გაკვეთილზე ნუ იხმაურებ!  
 ნუ წახვალ, გთხოვ!  
 „ნუ დასცინი სხვასაო,  
 გადაგხდება თავსაო!“  
 ტყუილს ნუ იტყვით!  
 ჩქარა ნუ კითხულობ!  
 ნუ ჩურჩულებ!  
 ბავშვებო, ნუ ჩხუბობთ!

2. სინონიმები და ანტონიმები:

**სინონიმები**  
 სიცრუე = ტყუილი  
 ცრუ = მატყუარა  
 ცრუობს = იტყუება  
 ზარმაცი = ზანტი  
 ბეჯითი = შრომისმოყვარე

**ანტონიმები**  
 ბეჯითი ≠ ზარმაცი  
 სიცრუე ≠ სიმართლე  
 ჯანსაღი ≠ არაჯანსაღი  
 წესრიგიანი ≠ უწესრიგო  
 მოწესრიგებული ≠  
 მოუწესრიგებელი  
 ყურადღებიანი ≠ უყურადღებო

ერთი ძმა ბეჯითია, მეორე - ზარმაცი.  
 სიცრუეს სიმართლე ჯობია!  
 სიმართლე თქვი, ნუ იტყუები!  
 ეს ბავშვი სიზარმაცესა და უწესრიგობას მიეჩვია.  
 ჩემი მეგობარი ძალიან მოწესრიგებული ადამიანია, ამიტომ მიყვარს.  
 აიშე, შენ ძალიან ყურადღებიანი ხარ, ყოჩაღ!  
 რატომ ხარ ასეთი მოუწესრიგებელი?  
 ჯანსაღი კვება ჯანმრთელობისთვის კარგია, არაჯანსაღი კვება – ცუდი!







3. წარმოქმნილი სახელები (-იან, უ-ო, -ობა, სი-ე)

ქონება-უქონლობის სახელები

აბსტრაქტული სახელები



ჩვენი მასწავლებელი ძალიან ყურადღებიანი არის.  
 ლია და ესმა წესრიგიანი მოსწავლეები არიან.  
 ნუ იქნები უყურადღებო და უწესრიგო!  
 ჭორაობა, უყურადღებობა, უწესრიგობა მავნე ჩვევებია!  
 სიზარმაცე და სიცრუე კარგს არაფერს მოიტანს!  
 „სიფრთხილეს თავი არ სტკივაო!“

4. ზმნის ძირითადი დროის ფორმები:

მიჩვევა			
	ახლანდ.	მომავ.	წარს.
მე	ვერვევი	მივერვევი	მივერვეი
შენ	ერვევი	მიერვევი	მიერვეი
ის	ერვევა	მიერვევა	მიერვეია
ჩვენ	ვერვევით	მივერვევით	მივერვეით
თქვენ	ერვევით	მიერვევით	მიერვეით
ისინი	ერვევიან	მიერვევიან	მიერვეივნენ



# კროსვორდი

ჩანერეთ ჩვევების სახელები!

							ს		ზ		ს		ე		ს
				წ							ი				
		ჩ	ვ	ე	ვ	ე	ბ	ი							ზ
				ს					ჭ		რ		ო	ბ	
ჩ				რ			ჭ								რ
				ი							ე				
რ				ბ			თ								ა
				ი						ღ		მ			
უ															ე
				ც		ნ		ა		ბ		უ			
ი															
							ტ		უ		წ				
										ა					
										ე					
		უ	წ	ე	ს	რ	ი	გ	ო	ბ	ა				

- პასუხები:** 1. ჩვევები 2. ჭორაობა 3. უწესრიგობა 4. ჩხუბი 5. სიზუსტე  
 6. დავვიანება 7. სიზარმაცე 8. დაცინვა 9. ტყუილი 10. ხმაური  
 11. სიბეჭითე 12. ჩურჩული 13. წესრიგი 14. სიცრუე





თავის ძირითადი სიტყვები და ფრაზები:

ჩვევა  
სიზარმაცე  
სიცრუე  
ტყუილი  
სიმართლე  
სიფრთხილე  
დაუდევრობა  
ჩხუბი  
ქურდობა  
ჭორაობა  
ნიჭიერი  
მავნე  
დადებითი

მიჩვევა  
დაგვიანება  
ბეჭითობა  
ცრუობა  
მოტყუება  
ჩხუბი  
ჭორაობა

სამწუხაროდ  
ფრჩხილებს იკვნეტს  
არ შეიძლება!  
ჩვევები ახასიათებს  
სიზარმაცეს...  
მიეჩვია  
შენიშვნის მიცემა  
ნუ მიეჩვევით!



# დანართი 1. დავალებები თავი 1.

## 1. მიუწერეთ სიტყვები შესაბამის სურათებს!

1. დასვენება მთაში
4. სასტუმროში
7. გართობა
10. კომპასი

2. აგარაკზე
5. ექსკურსიაზე
8. საღ დავისვენოთ?
11. ცეკვა

3. ზაფხულის არდადეგებზე
6. ზამთრის არდადეგებზე
9. პირადი ნივთები
12. პლაჟზე







## 2. მოცემული სიტყვებით შეადგინეთ წინადადებები!

ა: სტამბოლში / არდადეგებზე / კლასი / წავიდა / ანას

ბ: .....

ა: ექსკურსიაზე / ერთი / წავიდნენ / კვირით / ბავშვები

ბ: .....

ა: სრუტეში / ბავშვებმა / ბოსფორის / გაისეირნეს / გემით

ბ: .....

ა: ანას / დრო / გაატარეს / სტამბოლში / მხიარულად / კლასელებმა

ბ: .....

## 3. წაიკითხეთ ტექსტი!

### არდადეგებზე

არდადეგები ყველა მოსწავლეს უყვარს. ისინი თიქრობენ, სად გაატარონ ზამთრისა და ზაფხულის არდადეგები.

ბილალი და გიორგი თანაკლასელები არიან. ბილალი ზამთარში ერზრუმში ისვენებს. მას ძალიან უყვარს თოვლი, თხილამურებით სრიალი, თანატოლებთან ერთად გუნდაობა.

გიორგი ზამთრის არდადეგებს ხშირად ბაკურიანში ატარებს. მას უყვარს სუფთა ჰაერზე ყოფნა, სეირნობა. თხილამურებით სრიალიც მოსწონს, მაგრამ ჯერ კარგად არ იცის, ახლა სწავლობს.

ზაფხულის არდადეგებზე ბილალისა და გიორგის ოჯახები ერთად მიდიან დასასვენებლად ანტალიაში. ბავშვები კარგად ერთობიან ზღვაზე: ცურავენ, პლაჟზე ბურთს თამაშობენ, საინტერესო წიგნებს კითხულობენ, კაფეში გემრიელ ნაყინსა და ხილის წვენებს მიირთმევენ, საუბრობენ, მღერავენ და ცეკვავენ.





**4. ტექსტის მიხედვით შემოხაზეთ სწორი პასუხები!**

- ა. არდადეგები ყველა მოსწავლეს უყვარს.
- ბ. არდადეგები ყველა მოსწავლეს არ უყვარს.
- ა. ბილალი ზამთარში ერზრუმში ისვენებს.
- ბ. ბილალი ზამთარში ანკარაში ისვენებს.
- ა. გიორგის უყვარს სუფთა ჰაერზე ყოფნა, სეირნობა.
- ბ. გიორგის არ უყვარს სუფთა ჰაერზე ყოფნა, სეირნობა.
- ა. ზაფხულის არდადეგებზე ბილალისა და გიორგის ოჯახები ერთად მიდიან დასასვენებლად ანტალიაში.
- ბ. ზაფხულის არდადეგებზე ბილალისა და გიორგის ოჯახები ერთად მიდიან დასასვენებლად იზმირში.

**5. ტექსტის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს!**

ა. რაზე ფიქრობენ მოსწავლეები?

.....

ბ. სად ისვენებს ზამთრის არდადეგებზე ბილალი?

.....

გ. სად მიდიან დასასვენებლად ზაფხულის არდადეგებზე ბილალისა და გიორგის ოჯახები?

.....

დ. იცის თუ არა გიორგიმ თხილამურებით სრიალი?

.....



6. მოცემული ზმნები ჩაწერეთ სათანადო ადგილას!

გავატარებდით / წავიდოდი / დაელოდებოდა / გაერთობოდნენ

1. ზღვაზე ერთად დროს კარგად .....
2. სალამოს დისკოთეკაზე .....
3. თეატრში სიამოვნებით .....
4. მძლოლი ბავშვებს .....

7. აღნიშნეთ, რომელია ზედმეტი (✓)!

1.	პასპორტი	ვიზა	საზღვარი	✓	რუკა
2.	დაჯავშნა	მუზეუმი	მიმღები		სასტუმრო
3.	გემი	ციხე-სიმაგრე	ხიდი		მუზეუმი
4.	ზურგჩანთა	საფარცხელი	ექსკურსია		ხალათი

8. ჩაწერეთ ცხრილში ზმნის სამივე დროის ფორმები!

	გართობა		
	ახლანდ.	მომავ.	წარს.
მე			გავეროთე
შენ	ერთობი		
ის			
ჩვენ			
თქვენ		გაერთობით	
ისინი			



## თავი 2.

### 1. მიუწერეთ სიტყვები შესაბამის სურათებს!

1. კინოთეატრში

3. წიგნების გამოფენაზე

5. საბავშვო კონკურსი

7. მუსიკალურ სკოლაში

9. მუზეუმში

11. ფოლკლორი

2. სპექტაკლზე





4. გალერეაში

6. ფესტივალზე

8. მუსიკალური ინსტრუმენტები

10. შეხვედრა მწერალთან

12. საოპერო თეატრში







## 2. მოცემული სიტყვებით შეადგინეთ წინადადებები!

ა: მიდიან / ლია / გამოფენაზე / და / წიგნების / ესმა

ბ: .....

ა: ბავშვთა / ივნისი / დღეა / საერთაშორისო / პირველი / დაცვის

ბ: .....

ა: წიგნის / სახლში / საინტერესო / გაიხსნა / გამოფენა / ძალიან

ბ: .....

ა: არის / ხელოვნების / პირველად / ლია / მუზეუმში

ბ: .....

## 3. წაიკითხეთ დიალოგი!

### მუზეუმში

ლია: აიშე, დღეს ხელოვნების მუზეუმში წავიდეთ?

აიშე: წავიდეთ, შემდეგ ან კაფეში დავსხდეთ, ან ვისეირნოთ!

ლია: ორ საათზე გაჩერებასთან დაგელოდები.

აიშე: დამელოდე, აუცილებლად მოვალ!

ლია: ამ მუზეუმში ადრე ნამყოფი ხარ?

აიშე: არა, პირველად ვარ.

ლია: აქ ძალიან ძველი ექსპონატებია.

აიშე: მუზეუმი რომელ საათზე იკვეტება?

ლია: ათ საათზე იღება და ექვს საათზე იკვეტება.

აიშე: კარგი, დავათვალიეროთ!



**4. დიალოგის მიხედვით შემოხაზეთ სწორი პასუხები!**

- ა. ლია და აიშე ხელოვნების მუზეუმში მიდიან.
- ბ. ლია და აიშე ხელოვნების სახლში მიდიან.
  
- ა. აიშე ხელოვნების მუზეუმში მეორედ მიდის.
- ბ. აიშე ხელოვნების მუზეუმში პირველად მიდის.
  
- ა. ხელოვნების მუზეუმი 11 საათზე იღება და 17 საათზე იკვეტება.
- ბ. ხელოვნების მუზეუმი 10 საათზე იღება და 18 საათზე იკვეტება.
  
- ა. ხელოვნების მუზეუმში ძალიან ძველი ექსპონატებია.
- ბ. ხელოვნების მუზეუმში ახალი ექსპონატებია.

**5. დიალოგის მიხედვით დასვით შეკითხვები!**


- ა: ..... ?
- ბ: ლია და აიშე ხელოვნების მუზეუმში მიდიან.
  
- ა: ..... ?
- ბ: არა, პირველად ვარ.
  
- ა: .....?
- ბ: შემდეგ ან კაფეში დავსხდეთ, ან ვისეირნოთ!
  
- ა: ..... ?
- ბ: მუზეუმი ექვს საათზე იკვეტება.



6. სურათების მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს!



ა: ხელოვნების რომელი დარგი გიყვართ?  
ბ: .....



ა: კვირაობით რით ხარ დაკავებული?  
ბ: .....



ა: შაბათ-კვირას რის კურსებზე დადიხართ?  
ბ: .....



ა: საიდან მოდიხართ?  
ბ: .....





7. წინადადებების გვერდით მიუთითეთ შესაბამისი შეკითხვა (როდემდე? სანამდე? სადამდე?)!

ა. ეს ავტობუსი თეატრამდე მიდის.	.....
ბ. ჩემი მშობლები კვირამდე ჩამოვლენ.	.....
გ. მუზეუმამდე რამდენი გაჩერებაა?	.....
დ. ზაფხულამდე სოფელში არ მივდივარ.	.....
ე. ბავშვები სადამომდე გამოფენაზე იყვნენ.	<b>სანამდე?</b> .....
ვ. ანა, ხვალ სახლიდან სკოლამდე ერთად წავიდეთ!	.....
ზ. ფესტივალის გახსნამდე ხუთი დღეა.	.....
თ. დღეს ხუთ საათამდე სკოლაში ვართ.	.....

8. გამოტოვებული ადგილები შეავსეთ უჯრებში მოცემული კავშირებით!

ან – ან

ხან – ხან

- ა. ხვალ ..... თეატრში წავალ, ..... – მუზეუმში.
- ბ. მოსწავლეები ..... კინოხელოვნებაზე საუბრობდნენ, ..... – მხატვრობაზე.
- გ. .... იცეკვე, ..... იმღერე!
- დ. სცენაზე ..... მსახიობები იდგნენ, ..... – მაყურებლები.
- ე. ნიკა, სადამოს ..... შენ დამირეკე, ..... მე დაგირეკავ.
- ვ. ეს საათი ..... მუშაობს, ..... – არა.

9. დააკავშირეთ ანტონიმური ზმნები!

გახსნა	დაკეტვა
ჩაცმა	დაძინება
სიყვარული	დახურვა
აღება	გარდაცვალება
გაღება	გახდა
გაღვიძება	მიცემა
დაბადება	სიძულვილი



## თავი 3.

### 1. მიუწერეთ სიტყვები შესაბამის სურათებს!

1. სპორტულ შეჯიბრებაზე

2. დილის ვარჯიში

3. ცურვაზე

4. კალათბურთის თამაში

5. დაჯილდოება

6. საავადმყოფოში

7. ჩემპიონატი ჭადრაკში


8. სტომატოლოგთან

9. პულსის გასინჯვა

10. ფეხბურთის მოედანზე

11. სასწრაფო დახმარება

12. პედიატრთან







## 2. მოცემული სიტყვებით შეადგინეთ წინადადებები!

ა. სპორტსმენია / ჩვენი / ცნობილი / მწვრთნელი / გუნდის

ბ. ....

ა. მინდა / ვარ / გამოძახება / და / ექიმის / ავად

ბ. ....

ა. დანყებამდე / საათია / შეჯიბრების / ერთი

ბ. ....

ა. პედიატრის / პირველ / კაბინეტი / სართულზეა

ბ. ....

## 3. წაიკითხეთ ტექსტი!

### ჩვენ გვიყვარს სპორტი!

სპორტი ყველას სჭირდება. დილის გამამხნეველი ვარჯიში, სუფთა ჰაერზე გასეირნება, ცურვა, სირბილი, სპორტის სხვადასხვა სახეობა ადამიანის ჯანმრთელობისთვის ძალიან სასარგებლოა.

ზაფერი და ნიკა თანაკლასელები არიან. სპორტი ორივეს უყვარს. ზაფერი მოჭადრაკვა, კალათბურთსაც კარგად თამაშობს და ფეხბურთსაც.

ნიკა ჩოგბურთელია. ისიც თამაშობს ფეხბურთს, მაგრამ ძალიან უყვარს წყალბურთი.

ნიკა და ზაფერი ერთად დადიან ცურვაზე. ორივე წარმატებული სპორტსმენია. ისინი ხშირად მონაწილეობენ სპორტულ შეჯიბრებებში.





#### 4. ტექსტის მიხედვით შემოხაზეთ სწორი პასუხები!

ა. სპორტი ყველას სჭირდება.

ბ. სპორტი ყველას არ სჭირდება.

ა. ნიკა ჩოგბურთელია და ძალიან უყვარს ფრენბურთი.

ბ. ნიკა ჩოგბურთელია და ძალიან უყვარს წყალბურთი.


ა. ზაფერი და ნიკა თანამშრომლები არიან.

ბ. ზაფერი და ნიკა თანაკლასელები არიან.

ა. ნიკა და ზაფერი ერთად დადიან ცურვაზე. ორივე წარმატებული სპორტსმენია.

ბ. ნიკა და ზაფერი ერთად დადიან ფეხბურთზე. ორივე წარმატებული სპორტსმენია.

#### 5. მიუწერეთ სურათებს სპორტის სახეობები!





6. დააკავშირეთ!

პედიატრი	შინაგან სნეულებათა ექიმი
კარდიოლოგი	კბილის ექიმი
სტომატოლოგი	ბავშვთა ექიმი
თერაპევტი	გულის ექიმი

7. ჩაწერეთ ზმნის ფორმები სათანადო ადგილას!

გაზომვა / ალება / გადალება / გაკეთება / ჩაწვთება / კბენა / გაშეშება / ტკივილი

- |                          |                  |
|--------------------------|------------------|
| 1. ოპერაციის .....       | 5. კისრის .....  |
| 2. რენტგენის .....       | 6. წნევის .....  |
| 3. თვალის წვეთების ..... | 7. სისხლის ..... |
| 4. მწერის .....          | 8. თავის .....   |

8. აღნიშნეთ, რომელია ზედმეტი (✓)!

1.	დაჯილდოება	გამარჯვება	დამარცხება	გრიპი
2.	ხველება	აბი	სპორტი	ვიზიტი
3.	რეცეპტის გამოწერა	შეჯიბრი	წამლის მიღება	ანალიზის გაკეთება
4.	ექიმი	სპორტი	სახეობა	სპორტსმენი

8. ჩაწერეთ ცხრილში ზმნის სამივე დროის ფორმები!

	ვარჯიში		
	ახლანდ.	მომავ.	წარს.
მე	ვვარჯიშობ		
შენ			
ის			მან / ივარჯიშა
ჩვენ			
თქვენ			
ისინი	✓	ივარჯიშებენ	





## თავი 4.

### 1. მიუწერეთ სიტყვები შესაბამის სურათებს!

1. ახალი წელი

4. მისალოცი ბარათი

7. ბავშვთა დღე

10. საჩუქარი

2. დაბადების დღე

5. მოსაწვევი ბარათი

8. დედის დღე



11. ტორტი

3. მილოცვა

6. ქორწილი

9. მასწავლებლის დღე

12. ფეიერვერკი







2. მოცემული სიტყვებით შეადგინეთ წინადადებები!

ა. აღნიშნავს / ოჯახი / დღესასწაულს / რამაზანის / ახმედის  
 ბ. ....

ა. მამა / საჩუქრებს / და / თამარის / ყიდულობენ/ დები  
 ბ. ....

ა. და / მამა / წავიდნენ / ბაზარში / ახმედი  
 ბ. ....

ა. ელოდებიან / და / თამარისა / ახმედის / სტუმრებს / ოჯახები  
 ბ. ....

3. შეადგინეთ სიტყვები!

წა-სას-დღე-ული : .....

დღე ბა-დების-და : .....

ლო-გი-ცავთ : .....

სა-ქარი-ჩუ : .....

წი-ქორ-ლი : .....

ლი-წე ხა-ა-ლი : .....

4. წაიკითხეთ ტექსტი!

**გილოცავთ დღესასწაულს!**

ახმედის ოჯახში რამაზანის დღესასწაულს აღნიშნავენ. დედა და ესმა სუფრას შლიან. ბებია სამზარეულოში გემრიელ კერძებს ამზადებს. ბაბუა ხორცს ჭრის. ახმედი და მამა დილიდან სუპერმარკეტში წავიდნენ, ხილი და ბოსტნეული უნდა იყიდონ.

სალამოს მათთან ბევრი სტუმარი იქნება. ისინი ერთმანეთს რამაზანის დღესასწაულს მიულოცავენ.



**5. ტექსტის მიხედვით შემოხაზეთ სწორი პასუხები!**

- ა. ახმედის ოჯახში ყურბანის დღესასწაულს აღნიშნავენ.
- ბ. ახმედის ოჯახში რამაზანის დღესასწაულს აღნიშნავენ.
- ა. სალამოს ახმედის ოჯახს ბევრი სტუმარი ეყოლება.
- ბ. სალამოს ახმედის ბევრი სტუმარი მოვა.
- ა. ახმედის ბებია სამზარეულოში გემრიელ კერძებს ამზადებს, ბაბუა კი ხორცს ჭრის.
- ბ. ახმედის ბებია სამზარეულოში გემრიელ ხორცს ჭრის, ბაბუა კი კერძებს ამზადებს.
- ა. ახმედი და მამა დილიდან სუპერმარკეტში წავიდნენ.
- ბ. ახმედი და მამა დილიდან ბაზარში წავიდნენ.

**6. ჩასვით მოცემული სიტყვები სათანადო ადგილას!**

გილოცავთ / დაბადების / დღეს! / ახალ / დღესასწაულს / მასწავლებლის

- |                         |                                      |
|-------------------------|--------------------------------------|
| 1. .... დღესასწაულს!    | 4. გილოცავთ ..... დღეს!              |
| 2. გილოცავთ ..... დღეს! | 5. გილოცავთ ..... წელს!              |
| 3. გილოცავთ დედის ..... | 6. გილოცავთ, მრავალ ..... დაესწარით! |

**7. დააკავშირეთ!**

- |                              |              |
|------------------------------|--------------|
| ბედნიერებას გისურვებთ!       | გზა          |
| შეგერგოთ!                    | ავადმყოფობა  |
| ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას! | დღესასწაული  |
| მშვიდობაში!                  | ქორწილი      |
| გამოჯანმრთელებას გისურვებთ!  | გარდაცვალება |
| გილოცავთ დღესასწაულს!        | ტანსაცმელი   |
| ბედნიერი მგზავრობა!          | საჭმელი      |



8. ჩასვით ცხრილში ზმნები სათანადო ფორმით!

ახლანდელი დრო მილოცვა					
მე - შენ	გილოცავ	შენ - მე		ის - მე	
მე - თქვენ		შენ - ჩვენ		ის - შენ	
მე - მას		შენ - მას		ის - ჩვენ	გვილოცავს
მე - მათ		შენ - მათ	ულოცავ	ის - თქვენ	
				ის - მას	
				ის - მათ	
ჩვენ - შენ		თქვენ - მე		ისინი - მე	მილოცავენ
ჩვენ - თქვენ		თქვენ - ჩვენ	გვილოცავენ	ისინი - შენ	
ჩვენ - მას	ვულოცავთ	თქვენ - მას		ისინი - ჩვენ	
ჩვენ - მათ		თქვენ - მათ		ისინი - თქვენ	
				ისინი - მას	
				ისინი - მათ	







## თავი 5.

1. მიუწერეთ სიტყვები შესაბამის სურათებს!

1. კუნძული

2. ჩანჩქერი

3. ზღვა

4. ტბა

5. მდინარე


6. მთა

7. გამოქვაბული

8. პირამიდა

9. ეიფელის კოშკი

10. უდაბნო





2. მოცემული სიტყვებით შეადგინეთ წინადადებები!

- ა. და / სახელმწიფოებია / საქართველო / თურქეთი / მეზობელი
- ბ. ....
- ა. საქართველო / სანაპიროზეა / ზღვის / შავი
- ბ. ....
- ა. სახელმწიფო / არის / თურქული / ენა / თურქეთის
- ბ. ....
- ა. საქართველოს / ქართულია / ენა / სახელმწიფო
- ბ. ....

3. წაიკითხეთ ტექსტი!

**თბილისი**

თბილისი საქართველოს დედაქალაქია. იგი ქვეყნის აღმოსავლეთით მდებარეობს. თბილისის მოსახლეობა მილიონზე მეტია.

თბილისი ძველი ისტორიული ქალაქია. იგი დაახლოებით ათას ხუთასი წლისაა. მდინარე მტკვარი ქალაქს ორ ნაწილად ყოფს. თბილისში ზამთარი ცივია, ზაფხული – ცხელი და მშრალი. დედაქალაქში ბევრი საინტერესო ადგილია. ტურისტებს განსაკუთრებით „ძველი თბილისი“ მოსწონთ.

4. წაკითხული ტექსტის მიხედვით შემოხაზეთ სწორი პასუხი!

- ა. თბილისში ზამთარი ცხელია, ზაფხული – ცივი და მშრალი.
- ბ. თბილისში ზამთარი ცივია, ზაფხული – ცხელი და მშრალი.
- ა. ტურისტებს განსაკუთრებით „ძველი თბილისი“ მოსწონთ.
- ბ. ტურისტებს განსაკუთრებით „ახალი თბილისი“ მოსწონთ.
- ა. თბილისი ახალი ქალაქია.
- ბ. თბილისი ძველი ისტორიული ქალაქია.
- ა. თბილისი დაახლოებით ათას ხუთასი წლისაა.
- ბ. თბილისი დაახლოებით ორი ათასი წლისაა.





## 5. მიუწერეთ სურათებს შესაბამისი სიტყვები!

პირამიდები / ჩინეთის კედელი / ევერესტის მთა / სულთან ახმედის მეჩეთი / ეიფელის კოშკი / ვარძია







6. გადაიყვანეთ ზმნები სხვადასხვა დროში და წინადადებები ჩაწერეთ ცხრილში!

	ახლანდელი დრო	მომავალი დრო	წარსული დრო
1.		ომერი დენიზლიში წავა.	
2.			ტურისტებმა სტამბოლში სუვენირები იყიდეს.
3.		ჩემი მეგობარი მსოფლიოს ვარშემო იმოგზაურებს.	
4.	ჩვენ ვისვენებთ ბათუმში ან ანტალიაში.		
5.			თბილისში პირველად ჩამოვედი.

7. წინადადებების გვერდით მიუთითეთ სათანადო შეკითხვა (როლის? რამდენჯერ? მერამდენჯერ?)!

ფატმამ ეს ფილმი ორჯერ ნახა.

**რამდენჯერ?**

გუშინ სამჯერ დაგირეკე.

.....

თბილისში მეორეჯერ მივდივარ.

.....

ბექას კაბადოკია ჯერ არ უნახავს.

.....

აიშე ჯერ მეცადინეობს.

.....

ჯერ სკოლის არდადეგები არ დანყებულა.

.....

ანკარაში ერთხელ ვიყავი.

.....

ჯერ ისწავლე, შემდეგ დაისვენე!

.....

სტამბოლში ბევრჯერ ვარ ნამყოფი.

.....



8. II შედეგობითის ფორმებით შეავსეთ გამოტოვებული ადგილები!

შეხვედროდა / გენახათ / აველოთ / მემოვზაურა! / წავსულიყავით! / დაგვესვენა!

